



ჟურნალ „გეგმვისა“

I სურათი. ორი მეგობარი	322
II ალავერდი (გოგია მირიანაშვილს) ლექსი შოა შდომეფისა	323
III მოყვარე ყოფილა და არა მტერი (თარგმანი) კუდ- რატისა	325
IV ეშმაკური სანთელი (ფრანგულიდან) არ. ჯგ — ინ..	328
V გატეხილი ფინჯანი (ბიკოვიდან) კუდრატისა . . .	333
VI აზიკო და თაფლი. ლექსი ფ. რუსთაძისა.	335
VII პატარა ტარიელი, ზღაპარი ად. ნათაძისა	337
VIII წვრილმანი: გამოცანები, ზმა, აკროსტიხი, შარადა და სხვ.	349
IX სურათები, ლექსი გელასი.	351
X პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ვე- ლურების ყოფა-ცხოვრება. ლუნკევიჩისა (გადმო- კეთებული) იტა ნაკაშიძისა	353
XI მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან (უმარტივესი ცხოველე- ბი) შემდეგი იქნება. აფ. თიანაძისა	358
XII მტკვრის სათავე, ქოროზი და თამარ მეფე. მგზავ- რის დღიურიდან — იფ. აფხაზაშვილისა.	368
XIV ორი ძმა. ისტორიული მოთხრობა ორტმანისა, (დასასრული შემდეგ) თარგმანი ირაკლი ფერაძისა .	374
XV ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ელისონი). შემდეგი	379

ჟურნალ „გეგმვის“ რედაქცია თხოვს ხელის მომწერ-
ლებს, ვისაც არა აქვთ შემოტანილი ფული დაიჩქარონ
შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალი ივლისიდან
მოესპობათ.

გეგმვის 1913 წლის ხელის მომწერლებს

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

რეანი მეგობრები



საქართველო ნახატებიანი ქურონალი.

იზარდვ მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო..

ი. დ.

ივნისი, 1913

◆ წელიწადი მეოცდაოთხე ◆

გეორგიანული

თ ბ ი ჯ ი ს ი

ელექტრონბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1913



ორი მეგობარი.

ალავერდი

(გიგა შირიანაშვილს)

სიზარმაცეს, სიმცონარეს
ვკარი წიხლი, ვკარ მოგვერდი,
რადგანაც არ გამოძადგა
მათი ფუჭი ალავერდი.

ეურძნით, ბაღით, შაქარღამით
ბევრჯელ ამოვიძსე ფერდი,
მაგრამ სწავლით სსვებზე უკეთ
ვერა და ვერ გავსწავფერდი.

ვაი დედნიემის ღმერთსა,
განა დედას რასა ვწერდი,
მშობლის სურვილს, წადილ-წუურვილს
ასე ძალე დაუბერდი?!

ან როგორღა უნდა ვხასო
ჩემი სოფლის კალთა, გვერდი,
საეგარელი ჭალა და ტყე,
მინდვრის მოქარგული მკერდი.

ვსთქვი: თუ დავრჩი სიზარმაცით,
ხომ ვერც დედას მიუვკედი...

დიდებულათ ვსძლიე მაცდურს,
შემდეგ კლასში გადავედი.

კეკხნაში არ ჩამომართვა,
თავათ უნდა ვჭედოთ ბედი;
გაუმარჯოს წინ-წინ სვლასა,
ძმაო გიგო, ალავერდი!..

შიო მღვიმელი.



მოყვარე ყოფილა

და არა მტერი.



ს რა უბედურებაა, დედა, ეუბნებო-
და ადელელებით ის იყო ბადიდან
დაბრუნებული ათი წლის ვანო. —
ჩვენ რომ შარშან მსხალი და ვაშ-
ლი დავრგეთ, მგონი სულ გაგვი-
ფუჭდეს. ტოტები მთლათ მოფენი-
ლია სამაგელი ჭიანჭველებით. ალ-
ბათ კვირტებს ისინი თუ სჭამენ,

საცა კი ბევრი ჭიანჭველა დასევია — კვირტი იქ უფ-
რო გაფუჭებულია და სცვივა კიდეც.

— შენ სცდები, ბიჭიკო, ჭიანჭველები არა სჭა-
მენ ფოთლებს, ალბათ იმათ სხვა რაღე თუ აფუჭებს.

— ეს არი ასლა ჩემი თვალთ ვნახე, როგორ
დარბოდენ ტოტებსე ის სამაგლები. აბა, წამოდი,
დედა, ვნახოთ, იქნება კიდეც ეშველოს რაღე ჩვენ
საუფარელ კოხტა ხეებს.

ხეებს რომ მიუახლოვდენ დედა საშინლათ გან-
ცვიფრდა როდესაც დაინახა, რომ ამოდენა ჭიანჭვე-
ლები დახვეოდა ხეებს. მან ხეებიდან ხელსახოცით
ჩამოჭეარა ჭიანჭველები და ტოტებს და კვირტებს

კულ-მოდგინეთ დაუწეო თვალიერება. ზოგ ფოთლე-
ბზე მან შეამჩნია მრავალი წვრილი კვერცხები, უსა-
თუოდ რომელიმე ჭიისაგან დადებული. ერთი ამის-
თანა ჰაწაწა კვერცხი ჭიანჭველამ მის თვალ-წინ შეჭამა,
მეორე სეზე ამისთანა კვერცხები სულ არ იყო, სამა-
კიერთ ტოტები და კვირტები სულ სავსე იყო წვრი-
ლი, მწვანე ქუჩკლებით. ქუჩკლებს ბოლოზე ორი ჰა-
წაწინა ღულა უხანდა. ეს ქუჩკლები ძალიან ზარმა-
ცათ დაიზღახნებოდენ და არცა სჭამდენ ფოთლებს,
მხოლოდ ფოთლებს სადმე გაუკეთებდენ ნახვრეტს და
იქიდან სწოვდენ ფოთლის წვესს. ჭიანჭველები ამ
ქუჩკლებს არა სჭამდენ, მხოლოდ მიუხსლოვდებოდენ,
ულვაშებს მოუცაცუნებდენ და თითქოს რაღასაც
ამოსრუტავდენ ლულებიდან.

— აბა გაიქეც შინისკენ და მომიბრებინე სახნის
და თამბაქოს ნახარში, უთხრა დედამ.

როდესაც ვანომ მოიტანა თამბაქოს ნახარში და
სახნის წყალი დედამ ფოთლები და ტოტები გარყე-
სა და ზოგ ადგილას ჩვრითაც გამოასუფთავა. ბევრი
ქუჩკლები დარჩა კიდევ შიგ კვირტებში. იქიდან მა-
თი განდევნა ძალიან ძნელი იყო.

ორი დღე ითმინა ვანომ და მერე შევიდა ბაღ-
ში ხეების სანახავათ და აი რა ნახა: იმ ხეებზე,
რომლებზედაც წინეთ ქუჩკლები იევენ, ესლა ერთი
ჭიანჭველაც არა ჩანდა წამლათ. მეორე სეზე, რომელ-
ზედაც დარჩენილიყო წინეთ კვერცხები—ასლა ის სე
შესამჩნევლათ გამოცოცხლებულიყო, სოლო აქაიქ

კიდევ დარბოდენ ჭიანჭველები და ეტეობოდა რომ
იქ კიდევ ცოტა ქუნქლები დარჩენილიყვენ.

— შენ მართალი უოფილხარ, დედავ. თურმე ჭი-
ანჭველები სრულებითაც არ აფუჭებენ ხეებს, ზირ-
იქით გვშველიან, მე კი კინაღამ სულ ერთიანათ
ამოვწყვიტე ისინი! ამითი ხომ ვავენებდი ჩვენს ხეებს.

კუდრაჭა.



ემშაკური სანთელი

ფრანგულიდან.



ორმანდიიდან ჰარისს მიმავალ მა-
ტარებელში ბიძია ბრიქებეკი და
მისი შეუღლე მგონი ოცდა შეათედ
ჭკითხულობდენ თავის ბიძაშვილის სილგენისაგან მი-
ღებულს წერილს, რომლითაც მათ ჰპატიჟობდა თა-
ვის შვილის ქორწილში.

„როცა ჰარისში ჩამოხვალთ, შუაღამე იქნება კი-
დეც. იმოდენა საქმე მაქვს მე რომ ვერცკი დაგისუ-
დებით. ამას გარდა მე ჩემთან ვერც მოგათავსებთ. მაინც
მარტო არ მიგატოვებთ: თქვენთვის, სწორედ სადგურ-
თან, ოთახი დავიჭირე სასტუმრო „ტერმინუსში“. მა-
ტარებლიდან რომ ჩამოხვიდეთ იქ მიდით და იკით-
ხეთ ოთახი № 104. სვალ დილით 9 საათზედ
ეტლი მოვა და ჩემთან წამოგიყვანთ. არხეინათ იუა-
ვით და კარგა მოისვენეთ!“.

ჭაი-ჭაი, რომ კარგათ დაიძინებდა ბიძია ბრიქე-
ბეკი შვიდი საათის გეზავრობის შემდეგ! ქალბატონი
ბრიქებეკი? თავის დღეში შორს არსად წასულა, თუ
წასულა ისეთის ზაწაწინა მატარებლით, რომ იმით
სიარულს წასვლა არც კი ეწოდება; ესლა კი ისე
მოჭქროდა, რომ როგორც თვითონ ამბობდა, თირკ-
მელები ჩასცვივდა.

სოფელში კარბაქით მოვაჭრე საონემ უამბო, რომ „პარიზში მიწა ისე ცოტაა, რომ მცხოვრებნი გალი-
ესხავით ჰაწაწინა ოთახებში დგანანო, საზნის უუთის
ოდენა საწოლებში სძინავთო და ლოგინი კიდე ისეთი
მაგარი აქვსო, თითქოს ატმის კურკებით გაუტენი-
ათო...“

თუ ასეა, როგორი ღამე უნდა გაეტარებინათ
ჩვენს მგზავრებს, რომელთაც შინ ეელამდის ეურ-
თუკში გორაობა უეუარდათ?!

ასლა გნებავთ ნამდვილი გაიგოთ?

საონე დიდი მატყუარა რამ გამოდგა.

სწორედ ამ დასკვნამდის მივიდა ბრიქებეკი, რო-
ცა კაი ტანისამოსში გამოწეობილმა მსახურმა დიდუ-
ბულათ მიიღო მოგზაურნი სასტუმროს კარებთან,
შეივანა მშვენიერს ფართო ოთახში, საცა იმოდენა
საწოლი იდგა, რის მსგავსი ბრიქებეკს თავის დღე-
ში არ ენახა.

ლოგინი კი ისეთი რბილი მოჩანდა, რომ კინა-
ღამ გაუსდელი არ ჩაგორდა დასაძინებლათ.

— ამას ეძახდა საონე კურდღლის გალიას?

ოთახი? განა შეიძლებოდა ეს მშვენიერი დიდი
ოთახი ლამაზი ავეჯით და ხალებით მოწყობილი,
გალიისთვის შეკედარებინათ? მერე ეს ხალები ისეთი
სქელი და რბილი იყო, რომ კოჭამდის ეუფლობოდა
შიკ ფეხები.

ბატონი და ქალბატონი ბრიქებეკი ისეთს გან-
ცვიფრებაში მოვიდნენ ამ სანახაობით, რომ ოთახის
კარებს ვეღარც კი მოსცილდნენ.

მსახურმა დაბე მშვიდობისა უსურვა მოსულთ და წავიდა. ამათ კი დაწოლა დააპირეს. ისეთი დაღალულები იყვნენ დიდი ხნის მკნაერობით, რომ სელათ მოეძნადენ დასაწოლათ.

— აბა ერთი, დედაკაცო, ეგ სანთელი ჩააქრე! უთხრა ბრიქებეკმა თავის ცოლს.

ქბ. ბრიქებეკი მიუახლოვდა სინათლეს, ლოუები გაიბერა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეუბერა.

ალი არც კი შეინძრა.

— რა საკვირველია, აქ ეგელაფერი ჰირველი ხარისხისა ეოფილა, სანთელიც კი. ჩემს ბიძაშვილს კარგა იოუწევია საქმე... მაგრამ სინათლეში კი ვერ დავიძინებთ. აბა კიდევ, შეუბერე, დედაკაცო!

— აბა ახლა შენა სცადე, უპასუხა მეუღლემ, როცა ორჯელ თუ სამჯერ თითონ კინაღამ ფილტვებიდან ქარიშხალი არ ამოუშვა სინათლის ჩასაქრობათ.

— ეს კი ვერაფერია, სთქვა ბრიქებეკმა—აბა ახლა მე მივიდე, მაშინ ჰხანავ, როგორც ჩავაქრობ!

მაგრამ დიდხანს უბერა ბიძია ბრიქებეკმა სანთელს, ხან ფეხები დაუბრახუნა, ხან მუშტებიც მოკუმბა, კინაღამ ლოუები დაუსკდა ბერგათ, სინათლე კი ისევ ისე იყო, არა ქრებოდა.

ახლა ორივემ ერთად დაუწვეს ბერვა, მაგრამ არ იქნა და არა, სანთელი ვერ ჩააქრეს.

უცებ ბიძია ბრიქებეკმა მოიგონა.

— მაცალე ცოტა, დიძალით წამოიძახა მან,— ახლა მე გიჩვენებ სეირს!

აიღო თავისი ქუდი და სანთელს თავზედ ჩამოაცო... სანთელი კი ქუდ ქვეშაც ანათებდა.

რა გაეწუბოდა, ამ ომით დაღბლულთ ისღა დარჩათ, რომ ძილისთვის მიეცათ თავი.

ექვ, ტუუილათ და ცდილობდენ დაძინებას! ამ ოხერძა სანთელმა მთლად გაუფრთხო ძილი. ნეტა ეს რაღა ეშმაკობა უნდა ეოფილიყო, რომ საონემ არა უამბო რა ამაზედ?!

თუძცა რაღაცას კი უამბობდა საონე: ჰარისელებს სოფლელების დაცინვა უეჭვართო...

— ნუ თუ ესეც დაცინვა იყო?

თან და თან ამ აზრმა ღრმად დაიბუდა ბრიქებეკების თავში. იმ დასკვნამდის მივიდენ ამ უძილო ბაში, რომ ბიძაშვილმა ისინი მასხარათ აიგდო, მხოლოდ იმისთვის მიიპატია ქორწილში, რომ ასეთი ოინი დაეძრთა მათთვის. ასე რომ არა ეოფილიყო, განა თითონ არ დაუსვდებოდა ამათ სადგურზედ?

— არა, ძამიაჲ, გაიფიქრა ბრიქებეკმა: დიდხანს არ აგაგდებინებ თავს მასხარათ!..

მეორე დილას, როცა ეტლი მათ წასაუკანათ სასტუმროს მოადგა, ბიძა ბრიქებეკი თავისი ძეუღლით სოფლისკენ ემგზავრებოდა.

სიღვენება ვერა გაიგო რა აჩქარებული დაბრუნებისა. ვერც იმ წერილისა გაიგო რა, რომელიც მსახურმა გადასცა. იმ წერილში ბიძა ბრიქებეკი სწერდა: „კარგი როდია მოხუცებულების მასხარათ ადგება, რომ თითონ ესენი მას ასე არ მოექცეო

დენ. თუ შენს შვილსა და რძალს ჭსურთ ნორმან-
დიაში გამოსეირნება ჩვენ კარგათ მივიღებთ. მარ-
თალია ისეთს კარგს ოთახში კი ვერ მოვათავსებთ,
როგორც შენ დაგვასვენდრე, მაგრამ გასანათებლათ
კი ძველებურს კარგს სანთელს დაუდგამთ, რომ რო-
ცა პილს დააპირებენ ჩაქრობაც შეიძლონო!

მხოლოდ მაშინ მიჭსვდა სილვენი მათი გაქცევის
მიზეზს, როცა ანგარიში მოითხოვა და შემდეგი წაი-
კითხა:

ოთახი № 104—10 ფრანკი, ელექტრონი 5

— ხუთი ფრანკი განათება? წამოიძახა სილვენმა.

— უეჭველია, ბატონო, მთელი ღამე არ ჩაუქუ-
რიათ ელექტრონი, უპასუხა მსახურმა.

არ. ავ-ინ.





გატეხილი ფინჯანი

ონა და ნინა მოსჯდომოდენ მაგიდას და მხიარულათ შეექცეოდენ ჩაის. დედა ღიმილით უგდებდა ეურს იმათ გაუთავებელ ტიტინს.

— ჩემი ფინჯანი შენსასა სჯობია, არწმუნებდა სუთი წლის სონა ნინას, — ევაგილებიც უფრო ლამაზი ასატია, ჰეჰელაც არის ჩემსაზე. ამ სიტყვებით სონამ აიღო ხელში ფინჯანი და ის იყო ჰეჰელა უნდა ეჩვენებინა დისტვის, რომ ფინჯანი სელიდან გაუვარდა და გატედა.

— ვაიჰე ჩემო ფინჯანო, ვაიჰე, იძახოდა სონა და ღაფა-ღუფით გადმოსდიოდა ცრემლები წითელ ფუნჩულა ლოუებსზე.

როდესაც სონა ცოტა დამშვიდდა, დედამ ძირს ჩამოიევანა და ფინჯანის ნატეხები იატაკიდან ააკრეფინა. ფინჯანი ისე დამსხვრეულიყო, რომ იმისი დაწებება შეუძლებელი იყო. სონამ კინაღამ ხელახლათ ტირილი მოართო.

— რასგან იყო გაკეთებული შენი ფინჯანი, სონაჰ? დაეკითხა უცბათ დედა.

სონა გაკვირვებით მიაჩერდა დედას. ეტეობოდა მას ეს ჯერ ფიქრათ არ მოსვლოდა.

— ჩვენი ფინჯები ქაშანურისაა, წამოიძახა ნინამ.

— მართალია, მაგრამ სომ არ იცოდა რა არის ქაშანური და სად შოულობენ მას?

ეს კი ნინამ არ იცოდა.


— თქვენი ფინჯები, შვილებო, თიხისაა, იმ ვეითელი თიხისა, რომლიდანაც თქვენ აკეთებთ სათამაშოთ სოღმე კვერცხებს, ვაშლებს და სხვ...

— მაშ ჩვენი გაკეთებული ვაშლები, რატომ ისეთივე თეთრები და ჰრიალები არ გამოდიან, როგორც ფინჯები?


— ფინჯებს გასასუფთავებლათ და გასაპირა-
ლებლათ მარლიან და სოდიან წყალში ავლებენ და მერე გასუფთავებულ
ქურაში სდებენ. ამისთანა ფინჯებს
მალიან ბევრს ქარსნებში აკეთებენ. ჩვენ ქალაქში ამისთანა ქარსანა არ არის, მაგრამ მექოთნე კი არის. სვალ წაგიყვანთ იმასთან და გაჩვენებთ, როგორ აკეთებენ თიხის ქოთნებს და სხვა თიხის ჭურჭელს.

(ბიკოფიდან)

კუდრაჭა.



ახიკო და თაფლი



(ძღწათ ჩემს შუაღს.)

ყო ერთი გიჟი ბიჭი,
მეტათ ცელქი, დაუდგომი
და ოჯახში მის წუალობით
გამართული იყო ომი.

არ იცოდა მოსვენება,
რაც კი სელში მოხვდებოდა,

თავდა ეირა აუენებდა
და თან თავზე ასტებოდა.

ვერაფერს ვერ უმაღავდენ,
ვერც გარეთ და ვერცა სახლში,
როგორც კარგი მეძებარი,
მონახავდა იმავე წამში.

ერთხელ დილით ადრინათ,
როცა ლოგინიდან ადგა,
თავშიშველი, ფეხშიშველი,
თახის კარებს ზედ მიადგა.

თურმე გუშინ იქ დედა მისს
თეფშით თაფლი შეენახა
და, კუდრაჯას, მისი შეჭმა
მოესურვა, განეძრახა.

მაგრამ, როცა თავი შეჭყო,
თაფლის შეჭმა დააპირა,
უცბათ ეცა შუბლზე ბზიკი,
ისარი ჰკრა, ააუვირა.

მას შემდეგ კი ჰაწაწინამ
თაფლი ისე შეისარა,
რომ, თუ სადმე თვალს მოჰკრავდა,
აფურთხებდა წარამარა.

ამბობდა: „ფუ, თავის ღოგოლ ვჭამ“,
წეუელ ზიკის წვენიაო,
ერთხელ შუბლს ღო ისალი მკლა,
მაწეველია დღენიაო!“

ვ. რუხაძე.



პატარა ტარიელი *)

(ზღაპარი).



1. დედოფლის თავ-გადასავალი.

ოდესღაც, არ ვიცი რომელ ქვე-
ყანაში, სცხოვრობდა ერთი ხე-
წიფე. ამ ხეძწიფეს ბევრ ხანს
შვილი არ ეძლეოდა და ამის
გამო სწუსდა იგი და უფრო ძლიერათა სწუსდა მისი
მეუღლე. ხალხიც ძალიან დაღონებული იყო ამ ამ-
ბის გამო და სულ ამას გაიძახოდა:—მეფე კარგი
გვაქვს, დედოფალი უფრო უკეთესი, მშვიდობიანათა
ვცხოვრობო, არა გვაკლია, ეველბუფრი თავ-საურე-
ლი გვაქს, მათი სიმდიდრე—ჩვენი საკუთარი სიმ-
დიდრეა, მათი სახელი—ჩვენი სახელი, მაგრამ რა
იქნება მაშინ, როდესაც მეფე განუტევებს სულს და
ღირსეული მემკვიდრე კი არ დაჩნება. ეს სიტყვები
ხშირათ ესმოდა მეფეს და მისი გული იღარებოდა
ვაითა და ვუითა. დღე და ღამ სულ ღოცულობდა
მეფე, ღოცულობდა დედოფალიც, რომ ღმერთს მათ-
თვის შვილი მოეცა: მაგრამ არ იქნა და არა, მათ
შვილი არ ეყოლათ.

*) ეს ზღაპარი საინგილოში გავიგონე და ცოტაოდენი
ცვლილება შევიტანე შიგ. ალექ. ნათაძე.

ერთხელ, ერთს მშვენიერ დილას, დედოფალი გა-
მოვიდა სასახლიდან და იქვე ახლო მდინარის ზო-
რათ ქვაზედ ჩამოჯდა და მიეცა დარდსა და სევდას.
მზეს ჭახ-ჭახი გაჰქონდა, ფრინველები სიმღერით ამ-
კობდენ იმ არე-მარეს, მცენარეებს მორცხვით თავე-
ბი დაეხარათ, მდინარე სჩქებდა და ხმაურობდა დე-
დოფლის გასართობათ. სად იყო და სად არა, გა-
მოძვრა სოროდან ერთი წითელი თავკი. დედოფალს
შეეშინდა, რადგანაც მას თავის გაჩენაში არ ენახა ამ
ფერის თავკი; შეშინებულმა აიღო ქვა და, როგორც
უნდოდა ესროლა და მოეკლა თავკი, რომ იგი წი-
თელ-კაბიან დედა-კაცათ გადაიქცა, ადამიანის სახე
მიიღო და ასე უთხრა:

— ნუ მოძვლავ, დედოფალო, და ბედსა გწეო.
დედოფალმა ქვა გადააგდო და სასახლეში დაბრუნდა.
ვეელაფერი მეუეს უაძბო. მეუემ უთხრა:—სვალ წადი
და მე შორიანლოდან გითვალთვალებო.

მეორე დღეს დედოფალი წავიდა იმავე ადგილას.
გზაზე ია და ვარდა. ფესთ ეფინებოდა, მზეს ისევ
ჭახ-ჭახი გაჰქონდა, ფრინველები ზევიდან დამღუ-
როდნენ და მის შორი-ანლოს მდინარე ტალღებს
აკორებდა და ართობდა დედოფალს. ამ დროს, სად
იყო და სად არა, გამოძვრა იგივე წითელი თავკი
და ცქერა დაუწეო დედოფალს. დედოფალს კიდევ მე-
ეშინდა და, ის იყო უნდოდა ქვა ესროლა და მოე-
კლა, რომ თავკი წითელ-კაბიან ქალათ გადაიქცა და
ასე მოახსენა დედოფალს: „ნუ მოძვლავ, დედოფალო,
და დიდს ბედსა გწეო“. არ მოკლა დედოფალმა და

მივიდა მეფესთან. მეფე იქვე ასლო იყო და ეველ-
ფერი ნახა და გაიგონა, ორივე გაკვირვებულნი იუ-
ვნენ ამ სასწაულთ. მესამე დღესაც ასე მოიქცნენ;
გარჩევა მსოფლოთ იმაში იყო, რომ გამოძვრა იგივე
წითელი თაგვი, ერთი კი შემოტრიალდა, წითელ-კა-
ბიან ქალათ გადაიქცა და ასე უთხრა დედოფალს:—
კარგი და კეთილი ადამიანი ყოფილხარ, დედოფლო,
და უური დამიგდე რას გეტყვიო: თქვენს ბაღში, ღო-
ბის შირში, ერთი ზაწაწინა ვაშლის ხე დგას; იგი
მსოფლოთ ღამდამობით ისხამს ნაყოფს და დღეს ისე-
ვე კი ჰქარგავს. როცა ეველანი დაწვენ და მიწ-
ენარდენ, ადეკი მაშინათვე, მიდი იმ ხესთან და მეც
იქ ვიქნებით.

მეორე დღეს დედოფალმა ეველფერი შეასრულა:
როცა ეველა მიწენარდა, დედოფალი ჩუმათ გამოვი-
და სასახლიდან, შევიდა ბაღში და მივიდა იმ ხეს-
თან. წითელ-კაბიანი დედაკაციც იქ დაუხვდა; ამან
მოუგლიჯა სამი ვაშლი, სამივე დედოფალს მისთა-
ვაზა და ასე უთხრა:—წაიღე ეს სამი ვაშლი და თო-
თო-თითოთ გასჭერი შუახედ, ერთი ნახევარი შენ
შეჭამე და მეორე ნახევარი შენს ქმარს შეაჭამეო; მე-
ორე დღესაც ასე მოიქეცი და მესამე დღესაც ასეო
და იცოდე, რომ სამი შვილი მოგეცემათ და სამივე
გმირებიო!

გაკვირვებული დედოფალი დაბრუნდა სასახლეში
და როგორც ნათქვამი ჰქონდა, ისე მოიქცა: გასჭრა
ერთი ვაშლი და, თუძცა ჭიანი გამოდგა, მაგრამ ნა-
ხევარი თვითონ შეჭამა და ნახევარი ქმარს შეაჭამა.

მეორე დღესაც გასჭრა მეორე ვაშლი და, თუძცა ესეც ჭიანი გამოდგა, მაგრამ ნასეკარი თვითონ შეჭამა და ნასეკარი ქმარს შეაჭამა. მესამე დღეს გასჭრა მესამე ვაშლი და ახლაც ნასეკარი თვითონ შეჭამა და ნასეკარიც ქმარს შეაჭამა. ეს ვაშლი კი ჭიანი არ გამოდგა.

ამ ამბის შემდეგ გაიარა ცხრა თვე და დედოფალს მშენიერი ვაჟი-შვილი ეყოლა და დაარქვეს ასლანი; გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და დედოფალს ჰირველზედ უკეთესი ვაჟი ეყოლა და დაარქვეს ფირუზა; გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და დედოფალს კიდევ მიეცა ერთი ვაჟი და ისეთი კარგი და ლამაზი, რომ შურით მზემ სამი დღე აღარ გამოანათა და ბუტია მთვარე ერთი თვე აღარ ეჩვენა ქვეყანას. ამ უმაწვილს ტარიელი დაარქვეს.

2. სიკვდილი მეფისა და მისი ანდერძი.

ამის შემდეგ მეფემ კარგა ხანი იცოცხლა; დიდი სიძლიერე შეიძინა, უთვალავი თვალმარგალიტით გაამსო საკუჭნაო; შეიძინა მრავალთ-მრავალი უძრავი ქონება, გაიჩინა მრავალი საქონელი და შესანიშნავი ჯიშის ცხენები. ცხოვრობდა კარგათ და კარგს ღოფაში ამოფუებდა თავის ცოლშვილსაც. ვაჟები დიოთი-დღე ვაჟ-კაცებოდნენ და ლამაზდებოდნენ. მეფე მეტის მეტათ მსიარულათა გრძნობდა თავს, მაგრამ ხანმა თავისი გაიტანა, დაუძლურდა და მალე ლოცინათ ჩავარდა. ქვეყნის ექიმები შეაჯერეს, მაგრამ სიბერეს ვინ მოარჩენს, ვერაფერი გააწეეს-რა...თვით მეფეცა

გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილია და შეუდგა თავდარიგს: დაუძახა ერთს თავის მოამბე მოსამსახურეს—შარმაზანას და ტკბილათა და ნაზათ უთხრა მას:

— ჩემო ერთგულო და თავდადებულო შარმაზან! შენს გამჭრიახ გონებას არ გამოეპარებოდა ის გარემოება, რომ ჩემი დღეები დათვლილია, სიკვდილი კარებს მირბაკუნებს! შენ კი ნუ იფიქრებ, რომ მე სიკვდილისა შემინოდეს: არა, ამას ნუ იფიქრებ... სინიდისი ეველასთან წმინდა მამას: თუ ბევრი კეთილი საქმე არ გამოიკეთებია, არც ბევრი სიბოროტე ჩამიდენია!.. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს და ეს ჩემი დარდი შენ უნდა გაგიზიარო; შვილები ზაწაწინები მრჩება, თავიანთი მოვლა ამათ არ შეუძლიანთ, მოამბე დედოფალიც დაუძლურდა და ჩემი შემენილი ქონება უნდა მიიფანტ-მოიფანტოს, ვინემ შვილები წამოიხრდებიან... მე ბევრი მტერი მუავს და არ მინდა, რომ ჩემი შვილების უბედურებით ამათ გაიხარონ! და ეს რომ ესე არ მოხდეს, გეხვეწები და გემუდარები, შვილო შარმაზან, ეს თხოვნა ამის რულე: ჩემი საუკეთესო ცხენების ჯოგი, ეს უმთავრესი დარგი ჩემი სიმდიდრის, წაასხი იმისთანა ადგილას, სადაც შურიანი კაცის თვალი არ მისწვდება, მოუარე და მტლათ დაედე მათ და, როცა ჩემი შვილები წამოიხრდებიან, უკლებათ ჩააბარე ამათაო... დანარჩენს სიმდიდრეს სხვებიც მოუვლიან! აი ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა და მომეცი ზატარასანი ვაჟკაცური სიტყვა, რომ ამ ანდერძს შემიძრულებო! შარმაზანს თვალში ცრემლი მოერია და მისცა ზატარასანი სიტყვა.

მერე მოიხმო დედოფალი და დასუსტებული სმით ასე უთხრა ამასაც: «ჩემო ტკბილო და მოჭირნასუ-
 ლე დედოფალო! დიდათ ვაუასებ შენს ამაგს ჩემსა
 და შვილების შესასებ, იმასაცა ვგრძნობ, თუ რა ძნე-
 ლია ჩემი და შენი ერთი ერთმანეთის დაშორება,
 მაგრამ კაცი უკვდავი არ არის და მეც ის მომელის,
 რაც სხვებს მოუვიდა! როგორც ეტუობა ძე მეტი ვარ
 ამ ქვეყნათ და უკანასკნელათ გესვეწები შემინდე მე,
 თუ რამ დავაძავე შენთან, ილოცე ჩემი სულისათვის,
 სათნოიანი ადამიანი ხარ, ღმერთი შეისმენს შენს
 ლოცვას და მეც შვება მომეცემა! ისევე თავდადებითა
 და გამჭრიახობით მოუარე და მტლად დაედე შენს
 შვილებსაც: ჯერ ივინი ჰატარაები არიან, ამათ ქვე-
 ენისა არა გაეგებათ რა... შენ ბევრი საზრუნავი
 გჩნება ჩემს შემდეგ და მეორე საზრუნავიც ეს იქნება:
 ათი ცხენი რომ შეავს, ის ცხენები ესლავე ჩაიუვანე
 ქვემო ოთახებში, მიძალე, მოუარე, აჭაჟე, ახვი კარ-
 გათ და როცა შვილები წამოიზრდებიან, მაშინ გა-
 უმხილე ცხენების იქ ეოფნაო“. ამ სიტყვებზედ დე-
 დოფალმა ტირილი დაიწყო; მეფემ კი განუტევა თა-
 ვისი კეთილი სული. მის გვამს ნათელი დაადგა.

3. სამივე ძმა მიდის ცხენების საძებნელათ.

ერთგულმა მოემეშ პარმასანმა და დედოფალმა
 წმინდათ შესრულეს მომაკვდავი მეფის ანდერძი:
 ცხენები მიძალ-მოძალეს; დედოფალმა დიდი ეურად-
 ღებით დაიწყო მოვლა-აღზრდა შვილებისა: აჭმევდა
 ად ასმევდა, თავისი ხელით ურეცხავდა და უკე-

რავდა და თავის სიცოცხლესა სწირავდა მათ. შვილები დიდათ კმაყოფილები იუვნენ დედისა და დედა შვილებისა.

ერთხელ უფროსი ძმა, ასლანი, გავიდა გარეთ და მეხოხლის ბიჭთან დაიწყო „კოჭობა“. ბიჭმა მოუგო; იწვინა ეს ასლანმა, შეუტია ბიჭს, სცემა კიდევ და კოჭებიც წაართვა. გაბრაზებულმა ბიჭმა მიაძახა ასლანს:—რომ მცემ, რათა მცემ და კოჭებს მართქვ! თუ ძალა და ღონე შეგწევს, ის ცხენები დაიბრუნე, რომელიც მაძიქენის სიკვდილის შემდეგ, თქვენმა მოსამსახურე ბიჭმა წაასხა და დაგიძალათო“. შერცხვა ასლანს, კოჭები უკანვე გადუეარა, შევარდა სახლში და ეველაუფრი ძმებს უამბო. ესენიც მაძინათვე მივიდნენ დედასთანა და სთხოვეს ამ საიდუმლოს გამოძეღვენება. დედა ჰირველათ დიდ უარზე იდგა, მაგრამ შვილები რაკი არ ბეჭენენ, ასე უთხრა: „შვილებო! ის ცხენები კი არ ვიცი სად არიან, მაგრამ ამას კი გეტყვით, რომ ის ცხენები მამათქვენის ბრძანებით შარმაზანმა წაასხა სხვაგან და, როცა წამოიზრდებით თქვენ, მაშინ ისევ დაგიბრუნებთო“ ძმები გაჯიუტდნენ:—არ იქნება და არა, უნდა წავიდეთ და იმ ცხენების კვალს უნდა მივაგნოთო! დედა დიდს უარზე იდგა, მაგრამ რას გააწუბდა ჯიუტ შვილებთან!.. დიდი საგზალი მოუშადა, დალოცა, დაკოცნა, ძირა ოთახში დამწვეული ცხენები გამოუყვანა. ამათაც შეკმახეს სამი ცხენი, ძვიდი წინ გაიდევნეს და გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს, ბევრი იარეს, ცხრა მთა გადა-

იარეს, მთელი ქვეყანა შეაჯერეს, მაგრამ არ იქნა და არა, ცხენების კვალს ვერ მიაგნეს. საგზალიც გამოეღიათ; დაკლეს ერთი ცხენი, მეორე, მესამე, შემდეგ მეშვიდეც მიაუღეს... კიდევ ბევრი ცხრა მთა გადაიარეს, მაგრამ ცხენების კვალს კი ვერ მიაგნეს... გზაზე საჭმელს ვერა მოულობდენ და შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, გადაწყვიტეს თავიანთ ცხენების დაკვლა და შეჭმა. წილი ჭერეს და კენჭი ტარიელის ცხენს ერგო! როგორც კი დააპირეს ამ ცხენის დაკვლა, უეცრივ შუათანა ძმამ შორს, ძალიან შორს, შენიშნა კვამლი. იფიქრეს: აქ ახლო უეჭველათ სახლი უნდა იყეს და სახლში ადამიანო! ცხენს თავი დანებეს და გასწიეს. იქითკენ, საიდანაც კვამლი ამოდირდა, ერთი დღე და ღამე კიდევ იარეს და მივიდნენ ერთ მთის ძირში... კვამლი ახლო მოჩანდა, მაგრამ ისეთი ჯაბჯუკით და ეკლუბით იყო გზა შეკრული, რომ ვერა კაცი ვერ შესძლებდა იქ შესვლას. უფროსმა ძმამ დაიწყო ამ ძეგების კაფვა, შუათანა და უძცროსი ძმა მოჭრილ ძეგებს ისევ თავის ალაგას აწეობდა, რომ სხვას არავის მიეგნო ეს გზა და კვალი. როგორც იყო გავიდნენ სამშვიდობოში და შენიშნეს, რომ მთის ძირში გამოჭიმულია ქოხი... შევიდნენ შიგნით და შენიშნეს რომ ბუხარში ცეცხლს გუზ-გუზი გააქვს, ცეცხლზე დგას ქვაბი და ქვაბში ცხენის სორცი ისარშება და ადამიანის ჭაჭანება კი არსად არის. დამშეულმა მგზავრებმა გადმოადგეს მაშინათვე ქვაბი, ამოალაგეს სორცი და გემრიელათ შეექცნენ. ის იყო უკა-

ნასკნელი ლუკმა უნდა ჩაედოთ ზირში, რომ ოთახში შემოვიდა ვიღაც ჭადარა შერეული-კაცი და გაკვირვებით ჰკითხა ამათ:

— ვინა ხართ? რა სულიერები ხართ? და რა გინდათ, რომ აქ ჩემთან მოსულხართ?

უფროსმა ძმამ ტკბილათ დაუწყო ამას ლაპარაკი:— ჩვენ უკაცრავათა ვართ შენთან, ჩვენო კეთილო ბიძიავ! ჩვენ ამ ქოხში გაჭირებამ მოგვიყვანა. ჩვენ უბრალო კაცის შვილები არა ვართ, სელმწიფის შვილები ვართ. ორი წელიწადია რაც ძმა გადაგვეცვალა; იმან მშვენიერი ჯიშის ცხენები დაგვიტოვა, ჩვენმა მოსამსახურე ბიჭმა გაიტაცა იგი ცხენები და აი ეს ერთი წელიწადია ვეძებთ და მათ კვალს ვერ იქმნა და ვერ მივაგენითო... ესლა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც გვიაძობ, თუ რაღე იცი იმ ცხენების შესახებ!“.

შარმაზანმა მაშინათვე იცნო ის ემაწვილები: გადაეხვია, გადაჰკოცნა თვითვეულათ ეველა და ასე მოახსენა: ის თქვენი მოსამსახურე მე გასლავარ, მაძიქვენის ანდერძს ვასრულებ და ვინმე თქვენ არ დაგაუკაცებთ, იმ ცხენებს, კიდევაც რომ მოძულათ, ვერ დაგანებებთო!

— არა, არ იქნება, ჩვენო ბიძიავ, უნდა გვიჩვენო ის ცხენები; აქედან ჩვენ ფეხს არ მოვიცვლით, ვინემ ჩვენივე თვალთ არა ვნახაძო იმ ცხენებს და არ დავეწმუენდებით, რომ, რაც შენ გვიაძბე, ეველა ეს მართალია!

შარმაზანი დიდ უარზე იდგა და სულ იმას ეუბნებოდა, რომ თქვენ ჯერ ბავშვები ხართ, მოუმზა-

დებლები და ცხენები რომ გიჩვენოთ რაიმე სიფათს შეეწეებითო და ეს მე არ მინდა — ბატონიშვილებს ჩემი მიზეზით რაიმე დაეძაროთო.

ბატონიშვილები აღარ შეეშვნენ და შარმაზანიც დასთანხმდა:

— რადგანაც ჩემი დარიგება არ გინდა შეისმინო, უთხრა მან ასლანს, შენი ნება იუვეს, წამოდი, მოგცემ ერთს ცხენს, შეჯექ ამ ცხენზედ და გადაუხვია აღმოსავლეთისაკენ; გზაზედ ერთი მინდორი შეგჩვენება; ამ მინდორზედ ერთი გორაკაა, ცხენი მიუშვი ამ გორაკაზე, აქ აღვირი მოხსენი და დაახანჩხარე: იმ წამსვე მოვარდება ჭაკი ცხენი, ცხრა საათი რომ გახდება, იგი კვიცს მოიგებს, იმ საათშივე გაჩნდება გველამაჰი ამ კვიცის შესაჭმელათ. ვეშაჰს ხელს ნუ ასლებ, იგივე თვითონ მოგპორდება, მაშინ შეჯექ იმ ჭაკ-ცხენზედ და შენი ცხენი კი იმ გორაკაზედ დასტოვეო. შენ ჩქარა გახვალ სხვა მინდორზედ, სადაცა ნახავ მაშინ შენის დატოვებულ ცხენების ჯოგს. სამხრობისას გაჩნდება ასი მეომარი, დაეხვევიან ცხენებს და ერთს ნაწილს ცხენებისას წაასხამენ. ამათაც არ გამოეღაზნარაკო და ზარადისაც ნუ გეშინიანო. ამის შემდეგ ამოირჩიე ერთი საუკეთესო კვიცი და დაბრუნდი უკან; გორაკასთან რომ მიხვიდე, შენ ისევ შენს ცხენს მოაჯექი და წამოდი შინ. ვინემ ჩვენ გავიღვიძებდეთ, შენ უნდა დაკლა ეს კვიცი, საუზმე მოგვიმზადო და ეველა ეს მზის ამოსვლამდის უნდა მოახერხო. მე ეველ-ფური გითხარი და ახლა შენ იცი, თუ არ გეშინიან, წადი, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგანიჭოსო.

4. ასლანის წასვლა.

ასლანი მოაჯდა თავის ცხენს და გაუდგა გზასა. მზის ჩასვლისას გავიდა ერთს მინდორზედ; იქვე ახლო გორაკს იყო აშართული. წააშრო ცხენს აღვირი და გაახანჩხარა. მაშინათვე გაჩნდა მშვენიერი ჭაკი-ცხენი. ღამე დაწოიბილი იყო, რომ მოიგო კვიცი; სად იყო და სად არა, გაჩნდა ერთი უშველელბელი გველეშაპი, წრფელ გადაელაპა კვიცი და მაშინათვე მოშორდა იმ არე-მარეს. მეტე ასლანი შეჯდა იმ ჭაკ ცხენზედ და გაუდგა გზას. მალე გავიდა ერთს მინდორზედ; ამ მინდორზედ შენიშნა მრავალთმრავალი ცხენის ჯოგი; სწორეთ სამხრობისას მოვიდა ასი მეომარი, დაერივნენ ცხენებს და ერთი ნაწილი წაასხეს. ამის შემდეგ ასლანმა დაიჭირა ერთი კვიცი, მოაჯდა და მივიდა იმ გორაკასთან, სადაც ცხენი ჭეუდა დატოვებული; შეჯდა თავის ცხენზედ, კვიცი წინ გაიგდო და, ჯერ არ გათენებულიყო, რომ მიადგა ქოხს. ეველას ეძინა. მაშინათვე დაკლა კვიცი, გაახინა ცეცხლი და შეუდგა საუხმის მზადებას. ეველაფერი რომ მოაშადა, ასლანმა გააღვიძა ძმებიცა და შარმახანიც. შარმახანმა რომ დანახა გამარჯვებული ასლანი, გაიხარა, გაუცინა და ასე უთხრა:


— ეოჩად, ასლან! შენ ეველაფერი კარგათ შეასრულე, რაც მე გითხარი და დალოცვილ იუპვი ჩემ-განაო.

შარმახანმა დალოცა იგი.

მეორე დღეს, კარგა რომ ბინდი გადაეკრა ქვე-

ენას, შუათანა ძმა, ფირუზა, აუტედა შარმაზანს — არ იქნება და არა, მეც უნდა წავიდე იმ ცხენების სანახავათაო. შარმაზანი ბევრი ესვეწა, ბავრი ეძუდარა, მაგრამ ვერა გააწეო რა და ამასაც დაულოცა გზა. ფირუზა გაუდგა გზას; იგივე ნახა ამანაც, რაც უფროსმა ძმამ: შარმაზანის დანაბარები ეველბუფრი გუმოდგინეთ შეასრულა და როცა ეველას ეძინა ქოხში, ფირუზა შეუდგა საუხმის თავდარიგს; მალეც გააღვიბა იქ მეოფნი და შეუდგნენ საუხმეს. შარმაზანმა ესეც დალოცა.

(დასასრული იქნება)





გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

(გაგონილი მამიდა ფეფესაგან)

ხვანტკრიდანა ელოჩი მოდის
პირი აქვს და ენა არა,
ორი ცხვარი მივაგებეთ
წვენი ქამა, ფოჩი არა.

შენ ინდოეთის ჩაფარო,
რა მალე-მალე დახვალო,
წადი უთხარი ხუროსა,
ჯოჯოხეთში არ ჩაგვყაროს,
კარი არ მოგვიხუროსა.

ზ მ ა .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მახინჯი ბესო სანიაგოზე
წამოწოლილი ფარასა სთვლიდა,
ჯალაბი სალო მას შესტიროდა,
ხვეწნით ივანეც გარსა უვლიდა.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი .

(წარმოდგენილი მისგანვე)

წლის თავზე.

აცრემლებულა ქართველი,
ხალხია მგლოვიარეთა,
აღარ ჰყავთ შორით მოსარჩლე,
ხედავთ მოსთქვამენ მწარეთა.
ასე უკუღმათ ცხოვრებით,
ნეტა რათ გავიარეთა?..
აწ გავღარიბდით, ქართველთა
შვილები დავიცარეთა...

ვინა სთქვა „მოკცდა?“ გვინათებს
 ის ლამპრათ მოელვარეთა!
 ლოცვა კურთხევით გულშია
 იგი ჩვენ მივიბარეთა!..

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მისგანვე)

„ქანი“ რომ მივცეთ პირველსა
 ქათამს დავაფრთხოთ შიშითა.
 მეორე—მოგზაურია
 ყოველგან მტვრითა, ქვიშითა;
 მთელი თესურია ტკბილია,
 ვისიამოვნებთ მისითა,
 ვერვინ იყიდის, რომელიც
 ცალიერია ჯიბითა.

სახუმარო კითხვები.

- 1) რამდენი მუხუდო ჩავა ერთ ქოთანში?
- 2) სად მკიან ბალახს?
- 3) რა მირბის უფეხოთ?
- 4) რა უფრო შავია ყვავზე?
- 5) რა არის მთისა და ბარის შუა?
- 6) რომელი ცხოველია ყველაზე ღონიერი?
- 7) ვინ იბადება წვერით?



გამოცანისა: ბელურა ჩიტი.

შარადა: სკამი

რეზუსი: ღარიბი ყველაფერს ძვირათ ყიდულობს.



სურათები



თით მოდენილი სიცოცხლე
ნაკადულები ხშირია,
მიდამოს ფრთები შეესხამს —
საამოთ მოდერილია!..

ფოთოლი ფოთოლს უცინის,
ია ვარდს ჩაჰკონებია,
ბუღბუღი ტრფობით აღესილი
დაჰხარის — შეჰყვარებია!
გულში შეჰქრილა იმედი,
სხივი ციმციბებს, დარია,
სიყვარულს ტახტი დაუდგამს,
იცინის — ქვეყნის თვალია!..

* *

ავერ ტყე, მწვანე მანტიით
მორთული, მოკაზმულია,
იქ ჭიკჭიკობენ ჩიტები,
მიდამო მხიარულია!..
ნიავე ნანას იმღერის,
ფოთლების საუბარია,
ჩიტი თვის ბუდეს დაჰხარის,
ოჯახი საკუთარია!..
ბავშვებიც იქვე დადიან,
ბარტყების მაძებრებია,
ჩიტუნა კვნესის: „ბავშვებო,
რათა ხართ ჩვენი მტრებია!“

*
* *

მდინარე მირბის, მიშხის,
აცოცხლებს არე-მარესა,
ხან მთის ძირს მიეჯახება,
სიმღერას იტყვის მწარესა,
ხან დაბლით დაექანება,
გაჰყვება მინდორ-ქალებსა,
იწყება ნელი დუდუნი,
სხივი უკოცნის თვალებსა!
მწყემსებს შიგ მიეჩქარებათ,
მუშა დოქს რეცხავს, წუჟურია,
მეთევზე ნაპირს დამდგარა,
იქ ყველა მხიარულია!..

*
* *

აგერ ჯეჯილიც შრიალებს,
ბიბინებს, საამურია,
მწყერის ჭუკჭუკი მოისმის,
მოვიდა გაზაფხულია!..
პეპელა ყვავილს დაჰხარის,
ველს გაულია გულია,
ტოროლა მაღლით ნაფარდობს,
გალობს, სიამე სრულია!..
ფრთებ მოდერილი სიცოცხლე,
მოფრინავს, მოუხარია,
მინდვრათ გასული გლებ-კაცი
იმედით მომდერალია!..

გელა.



პირველ-ყოფილი ადამიანის ყოფა ცხოვრება

V. კიდევ ველურების სარწმუნოებაზე.



მ ღმერთთა შორის, რომლებსაც ველურები თაყ-
ვანს სცემენ თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს „წმიდა
ხეებს“ ამ გვარი ხეების თაყვანის ცემა გავრცელე-
ბულია თითქმის ყველა ველურთა ქვეყნებში: აზია-
ში, ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში და იმ მრავალ კუნძუ-
ლებზე, რომლებიც გაფანტულნი არიან ოკეანის უსაზღვრო
სივრცეზე. აბა გაისეირნეთ აფრიკის ზანგების მხარეში, მდი-
ნარე კონგოს პირათ მცხოვრებლებთან, მათ ქოხების სიახ-
ლოვეზე ნახავთ ერთ გვარ ხეებს, რომლებსაც სახელათ მათ
ენაზე „მირრონეს“ ეძახიან. ის არაჲს წმიდა ხე, ის იფარავს
ველურის კარ-მიდამოს ყოველი ხიფათისაგან, ველური ამკობს
ამ ხეს და სწირავს მსხვერპლს: იქ მუდამ ჭურჭლით დგას პალ-
მას ღვინო, ველურების აზრით საჭიროებისამებრ ხე წყურ-
ვილს იკლავს. დასავლეთ აფრიკის მცხოვრებ ზანგებსაც აქვთ
თავიანთებისა წმიდა ხე; ერთი მათგანი, მოგვითხრობს მოგ-
ზაური, წარმოადგენს უზარმაზარ ხეს, მის ღეროში მრავალი
ისრებია დასობილი, ამ ისრებზე ჩამოკიდებული იყო სხვა და
სხვა ხილი, მწვანელი, ქათმები და სხ. სულ მსხვერპლათ შე-
წირული ღვთაებისათვის.

ჩრდილოეთ-ამერიკაში ერთმა მეცნიერმა ნახა შესამჩნევი
დიდი ალვის ხე, უსათუოდ ეს ხე რამდენიმე ასი წლისა იქნე-
ბოდა, მის ტოტებზე ჩამოკიდული იყო მრავალი მძივები, ძაფები,
თემები, საქონლის ბალანი, და სხვა ნივთები მსხვერპლათ შე-
წირული.

შესანიშნავი მეცნიერი და ბუნების მეტყველი, დარვინი გვიამბობს, რომ მან ნახა პატაგონიაში (სამხრეთ-ამერიკაში) უხარშაზარი ხე, ის იდგა განმარტოვებით მადლობ ადგილზე, შორიდან ყველას შეეძლო მისი ნახვა. პატაგონელების აზრით ეს ხე ითვლება მათი უმთავრესი ღვთაების საბრძანებლათ და ამისათვის დიდს პატივში ჰყავთ. როცა დარვინმა ეს ხე იპოვნა, მაშინ ზამთარი იყო, ხე სრულებით ტიტველი იდგა, ფოთლების მაგიერათ ხეს აკოვდა მრავალ გადახლართულ ტოტებს შუა ძაფები, ძაფებზე ეკიდა სხვა და სხვა ნივთები მსხვერპლათ შეწირულნი, მაგალითათ: თუთუნი, პური, ხორცი და სხვ. ღარიბებს, რომლებსაც არაფერი გააჩნდა შესაწირავი თავის ტანისამოსიდან ძაფს გამოიძრობდა და ახვევდა ხეზე. ხშირათ ველურები გახერხებდნენ ხის ქერქს და შიგ მაგარ სასმელს ჩაასხამდნენ, რომ ამით უფრო ესიამოვნებინათ თავისი ღმერთი, აგრეთვე სწევდნენ ციგარებს და ბოლს ხის ტოტებში აბოლებდნენ, ესეც ვითომ სასიამოვნოა ღმერთისათვისო, ხის ძირი მოფენილი იყო მსხვერპლათ შეწირული ცხენის ძვლებით.

ველურები ცხოველებსაც უყურადღებოთ არ სტოვებენ. მრავალი მათგანი გაღმერთებული ჰყავთ. ყველაზე უფრო „გველს“ აღმერთებენ. დიდს პატივსაც სცემს ველური „გველს“, უშენებს საცხოვრებლათ სახლს ირგვლივ დიდი ეზოთი, აქმევნენ საუკეთესო არჩეულ საქმელს, უვლიან მათ საკუთრათ მიჩენილი მსახურები.

დათვის, გველეშაპს, გველს, კუს, არწივს, ბუს, სპილოს. ყველას ამათ აღმერთებენ ველურები.

დიდ ცოდვათ ითვლება ამ ცხოველების მოკლა, მაგალითათ ინდოელმა თუ დათვი მოკლა ის დაიჩოქებს ხოლმე დათვის წინ და პატიებას სთხოვს.

თუ კაფრმა დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მოკლა სპილო, ყოველ ღონისძიებით ცდილობს, რომ მის წინ თავი გაიმართლოს, ეფიცება, რომ შემთხვევით მოკლა, თორემ მისი მოკლა სრულებით არც უნდოდა, არც უფიქრია; რომ უფრო პატიოს დანაშაულობა ის აცლის მკვდარ სპილოს ხორბუმს და დიდის პატივით ასაფლავებს.

ველური არა თუ ცხოველებს აღმერთებს, ადამიანსაც ზოგიერთ შემთხვევაში ღვთაებრივ პატივს სცემს. ერთი ცნო-

ბილი მოგზაური ამბობს, რომ მას და მის ამხანაგებს აფრიკის სოფლებში ველოურები ისე მოკრძალებით და უზვდებოდენ, როგორც ღმერთებს. აი რა უთქვამს ერთ ველოურს მოგზაურისათვის; „როდესაც ჩვენ დავინახეთ თქვენი თეთრი სახე, ისე შეგვეშინდა, რომ ვერ შევიძელით განძრევა, თუმც თქვენი მოკვლა გვინდოდაო. როდესაც თქვენ ხელი გაგვიწოდინეთ მოსალმების ნიშნათ, მე ვიგრძენი თითქო ჩემი გული აღარ ფეთქავს. დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ ღვთის შვილები ხართ, ზეცით მოვლინებულიო“.

სხვა მოგზაურებიც ბევრ შემთხვევებს მოგვითხრობენ. ხშირად „თეთრებს“ სწირავენ მსხვერპლებს და სთხოვენ მათ მფარველობას, უბედურების აცდენას.

ასეთივე გრძნობას უღვიძებს ველოურს მათი სარდლები და წინამძღოლები, ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი გარემოებისა, მაგრამ საუბარი გაგვიგრძელდება და მხოლოდ ერთს მაგალითს გიამბობთ: დიდ ოკეანეზე, ტაიტის კუნძულზე, მეფე-დედოფალი ხალხს ღმერთებათ მიაჩნიათ. რაც მათ ხელში ერთხელ მაინც ყოფილა ყველაფერი წმიდანათ მიაჩნიათ და არავის ნება არა აქვს ხელი ახლოს იმ საგანს. წარმოიდგინეთ რომ ის ხმოვანები, რომლითაც მეფე-დედოფლის სახელები შედგებიან წმინდა ხმოვანებათ ითვლებიან. სასახლეები მათი იწოდებიან „ზეციურ ღრუბლებათ“, ნავი—„ცისარტყელათ“, ხმა—ქუხილათ, სასახლის გამანათებელი მაშხალები ელვათ. ასე რომ, ვინც სასახლის გვერდით გაივლის, და დაიინახავს მას განათებულს—ნება არა აქვს თქვას: „სასახლეში სინათლეაო“. მან უნდა სთქვას: „ცის ღრუბლებში ელვა გაბრწყინდა!“

კიდევ აი რა უნდა ვთქვათ ველოურების სარწმუნოებაზე?

1) ყველაფერი არა ჩვეულებრივი და გაუგებარი იწვევს ველოურებში თაყვანისცემას, მაგალითათ მოგზაურებს თაყვანს სცემენ.

2) ყველაფერი ძალოვანი, რაც რომ ჰგვრის ველოურს შიშს, და მათში იწვევს წმიდა სასოების გრძნობას ყველაფერი ხდება მათ სათაყვანებლათ, გასაღმერთებლათ... მძლავრი, მამაცი სარდალი, საშიშარი სეტყვა, მომაკვდინებელი ელვა, თავზარ დამცემი ქუხილი, სისხლის მსმელი ვეფხი, საკვირ-

ველი გველესაპი-ნიანგი, დევ-გმირი ლომი—ეს ყველაფერი აკვირვებს, აშინებს ველურებს და ამისთვის ის აღმერთებს მათ. ლოცულობს მათზე, —სწირავს მსხვერპლს და სთხოვს შემწეობას, ან ცოდვების პატიებას.

3) ველური აღმერთებს ყოველ სასარგებლო საგანს და ბუნების მოვლენას, აქედან წარმოსდგება სასარგებლო მცენარეების და ცხოველების გაღმერთება.

4) ველურები დიდათ პატივს სცემენ თავის წინაპრებს, ზოგიერთ მათგანს აღმერთებენ კიდევც.

5) ველური, როგორც ყოველი თქვენგანი, ძილში ხედავს სიზმარს. მერე იცით როგორ ხსნის ველური სიზმარს? ძალიან მარტივათ: ძილში სული შორდება სხეულს და მოგზაურობს; სხეული ამ მოგზაურობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს: ის რჩება, იქვე სადაც ადამიანმა დაიძინა; დილით სული ისევ უბრუნდება სხეულს, კაცი იღვიძებს. ხსნის ველური დარწმუნებულება, რომ სულს შეუძლია მოშორდეს სხეულს და იცხოვროს თავისთვის ცალკე. ასე ხსნის იგი სიკვდილსაც. სიკვდილი—იგივე ძილია, ხოლო ხანგრძლივი ძილი, ან დაუსრულებელი. როცა ადამიანი კვდება მას შორდება სული, მაგრამ არას ოდეს იგი არ კვდება; ის ჯერ თავისთავათ იწყებს ცხოვრებას, შემდეგ შედის რომელიმე ცხოველის სხეულში, ქვაში, ან ხეში. და საგანს, რომელშიაც შევიდა სული ველურის წინაპარისა, ის აღმერთებს, სათაყვანებელ საგნათ ხდის; დიდი პატივის ღირსია ის ცხოველი, ხე, ქვა, რომელიც ხდება მკვდარი წინაპარის სულის სადგომათ.

ეხლა იმედია მიხვდით საიდან ჰყავს ველურებს ამდენი ღმერთები და რისთვის სცემს თავყვანს ცხოველებს და უსულო საგნებს და თუ სავსებით ვერ გაიგეთ, ან არ იკმარა ამ მაგალითებმა, მაშინ ერთი ზანგის აღსარებას გიამბობთ, ეს აღსარება ცხადათ გაჩვენებსთ თქვენ რა ადვილათ უვიცი, რეგვენი ადამიანი სულ ახალ-ახალ ღმერთებს იგონებს.

— თუ რომ ვინმე ჩვენგანი, —ამბობს ზანგი, რაიმე დიდ საქმეს იწყებს, დაწყების წინ, ის ეძებს ღმერთს, რომელმაც უნდა დახმარება გაუწიოს.

ამ აზრით ის გადის სახლიდან და ის ცხოველთაგანი, რომელიც პირველათ შეხვდება: კატა იქნება, ძაღლი, გველი

ან უსულო საგანი: ქვა, ხის ნაჭერი, ან სხვა რამე, ის ახალ არჩეულ ღვთაებათ იმჩნევს, სწირავს მსხვერპლს და ფიცით ეკვრის მას, რომ თუ საქმე კარგათ შეასრულა, მუდამ ის ღმერთათ იწამებს და თაყვანის ცემას არ მოაკლებს მას. როდესაც საქმე კარგათ შესრულდება ამ ახალ ღმერთს ახალ და ახალ მსხვერპლებს სწირავს მადლობის ნიშნათ; თუ რომ საქმე ვერ შეასრულა სურვილისამებრ, ველური თავის ღმერთს შორს გადისვრის, როგორც გამოუსადეგარ ნივთს ამ გვარათ, განაგრძო ზანგმა, ჩვენ თვითონ ვაკეთებთ და კიდევ ვსაბოთ ღმერთებს თითქმის ყოველ დღე, ასე რომ ჩვენ ვართ შემქნელი და მაგინებელი იმ ღმერთებისა, რომლებსაც ვსწირავთ მსხვერპლს და ვიზედაც ვლოცვილობთო“.

ასეთი არის ახლაც ველურების რწმენა, ასეთივე იყო სარწმუნოება ჩვენი პირველყოფილ წინაპართა დროში.


იტა ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)



მოკლე ცნობები

თვალთ უჩინარ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან.



(უმარტივესი ცხოველები)


ვენ გარშემო მყოფ ცხოველთა და მცენარეთა რომ თვალი გადავივლოთ, მათ შორის დიდ განსხვავებას შევამჩნევთ. პირველ ყოვლისა ამ განსხვავებას ჩვენ დავინახავთ მათ სიმსხო-სიდიდეში და სხეულის გარეგან მოყვანილობაში, მათ ფორმაში. აქ ჩვენ ერთის მხრივ ვხედავთ დიდ უზარმაზარ ცხოველებს და მცენარეებს, როგორც არიან მაგალითათ სპილო, ცხენი, წიფელა, ფიჭვი, მუხა და სხვ., მეორე მხრივ ჩვენ თვალში გვეჩხირება ბუზი, ჭიანჭველა, ვარდი, ია, სურო და სხვა. ყველა ამათ ჩვენი თვალით ვხედავთ და ვცნობთ კიდეც, მაგრამ მათთან ერთად, როგორც მსწავლულები გვარწმუნებენ, იმყოფებიან და ცხოვრობენ კიდეც სხვა უფრო პატარა ცხოველები და მცენარენი ისე პატარა, პაწაწა, რომ მათი დანახვა უიარაღო თვალთ შეუძლებელია. ამ პაწაწა უჩინარ არსებათა სახელათ მიკროოზგანიზმებს უწოდებენ. მათ დასანახავთ და გასასინჯავთ საჭიროა განმადიდებელი იარაღი—მიკროსკოპი. ამ იარაღის შესახებ და კერძოთ იმ მიკრო-ორგანიზმებზედ, რომელნიც მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ „ჯეჯილის“ წარსული წლის ნომრებში.*)

თუ მოიგონებთ, ჩემო პატარა მკითხველო, მაშინ მე სხვათა შორის გიამბეთ, რომ ამ მიკრო-ორგანიზმებს, საზოგადოთ ბაქტერიებს ეძახიან მეთქი, აგისხენით აგრეთვე, რომ

*) იხ. „ჯეჯილის“ 1912 წ. № 6—7, 8 და 10.


ზოგიერთა ბაქტერიები თუ ადამიანის ტანში დაბუდდებიან და იქ თავის გასამრავლებლათ შესაფერ ნოყიერ ნიადაგს მოიპოვებენ, ადამიანს ავად გახდიან, სხვა და სხვა საშიშ მოარულ სენს შეჰყრიან, სწამლავენ ორგანიზმს ერთგვარი საწამლავით — შხამით, რომელსაც სახელათ ტოქსინი დაარქვენ. იქვე აღვნიშნე ის გზები, საიდანაც ბაქტერიები ახერხებენ ადამიანის სხეულში შესვლას და თან განვმარტე, რომ ადამიანის ორგანიზმი სხვა და სხვა საშუალებით ებრძვის ამ საშიშ მქნილობათა თავის არსებობის დასაცველათ და ცდილობს მათგან თავის დაღწევას აი სწორედ ამ ბრძოლის შესახებ მინდა ეხლა თქვენთან ვიბაასო. მაგრამ სანამ სენის გამჩენ ბაქტერიებთა და ადამიანის ორგანიზმის შორის ატეხილ ბრძოლაზედ დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროთ მიმაჩნია გაგაცნოთ იმ უჩინარ არსებათა, რომელნიც ეკუთვნიან ცხოველთა სამეფოს. აქ მე შემიძლიან დავისახელოთ ერთი პაწაწკინა ცხოველი ორგანიზმი, რომელსაც სახელათ ამება ჰქვია.

ამება ბაქტერიასავით ერია უჯრედოვან ორგანიზმს წარმოგვიდგენს. ამების სხეული შესდგება პროტოპლაზმისა და მის შუა გულში მოთავსებულ ბირთვისაგან; გარდა ბირთვისა პროტოპლაზმაში ვხედავთ მომრგვალო წყალისებრივი სითხით სავსე სხეულს, რომლისთვისაც სახელათ დაურქმევიათ „ვაკუოლა“. ასეთი უბრალო აგებულობის არის ამება, მაგრამ იგი



სურ. 1. ამება. a—ბირთვი. b—ვაკუოლა. ოთხს ამათგანს ცრუ ფეხები გამოუწვდია. პირველს კი შეუკუმშავს—მრგვალია.

როგორც სხვა ცოცხალი მქნილება მოძრაობს, იკვებება. და მრავლდება, ესე იგი ჰქმნის თავის მზგავს არსებას. ხანგრძლივ რომ დაუკვირდეთ მას მიკროსკოპში შევამჩნევთ, რომ ის თითქმის წამდაუწუმ იცვლის თავის სახეს, თავის ფორმას; ეს ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ამება თავის ნერწყვისებრივ ტანის ხან ერთი და ხან მეორე ნაწილისაგან გამოუშვებს პატარა-პატარა შტოებს, ფორჩხებს, რომელთაც მსწავლულნი სახელათ ცრუფხეებს (პსევდოპოდებს) უწოდებენ. პსევდოპოდი პროტოპლაზმის წამონაცარი, გამოწვტილი ნაწილია, ამ პსევდოპოდებს ამება მუდამ ამოძრავებს, აფათურებს, ხან შეიმოკლებს, შეიკუმშავს, ხან-კი გამოსწევს, გამოაწვდენს. ამ გვარი მოქმედებით ამება მუდამ იცვლის თავის გარეგან სახეს, თავის ფორმას, ხან გვეჩვენება მრგვალოთ, ხან ვარსკვლავსა ჰგავს, ხან ხელთათმანსა და ამასთანავე ერთად ის ნელ-ნელა დაცოცავს, ერთი ადგილიდან მეორეში გადაინაცვლებს, გადაიღვრება; წარმოიდგინეთ, რომ ეს ფხეები ამებას ხელების მაგივრობასაც უწევს, მათი შემწეობით ის იჭერს სხვა-და-სხვა წვრილ სხეულებს, პაწაწინა ცხოველებს, ჯერ მათ ცრუფხეების წვერებით გაშინჯავს, დაანერწყვებს და შემდგომ ფხეებს შემოიკუმშავს და თავის ლორწოიანი პლაზმით მსხვერპლს მთლათ გარს შემოეხვევა და სხეულის შიგადაშიგ მოითავსებს.




სურ. 2. ამება იჭერს პაწაწინა წყალ ბალახს. ა—ბირთვი. ბ—ვაკუოლა. მარცხნივ შავი წერტილი წყალ-ბალახაა, რომელსაც ამება იჭერს. აქ მესამე სურათზე ამება წყალ-ბალახს გარს ახვევია. მეოთხე სურათზე მას უკვე ამების სხეულში ვხედავთ.

აქ, რაც მის სასაზარდოებლათ საჭირო იქნება. შეითვისებს, მოინელებს, ხოლო გამოუყენებელს, უვარგის უკანვე გამოჰყრის. პირი ან სხვა საკმელის მისაღები რამ მოწყობილობა (ორგანო) ამებას არ გააჩნია, არც უვარგისი, მოუნელებელი

საქმელის გამოსაცილებელი ორგანო აქვს. მსწავლულნი ფიქრობენ, რომ საქმელის გამოსაცილებელ ორგანოს მაგივრობას ზემოთ დასახელებული „ვაკუოლა“ ეწევაო.

გამრავლება ამებათა სულ უბრალო წესით სწარმოვს; მიკროსკოპით შეიარაღებული თვალთა რომ ამ მოვლენას დაუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ის მრგვალი სხეული, რომელსაც ბირთვს ეძახიან, ჯერ ცოტათ დაგრძელდება, შემდგომ შუაზედ შეიკეცება, თითქოს წელზედ ქამარი მოუჭირესო, ამ დროს ის გარეგნობით ტყუპ თხილს მოგაგონებს. შეზნექილი ალავი თანდათან ღრმავდება და ბოლოს ბირთვი ორ ნაწილათ იყოფა, ერთად მასთან ნაწილდება და იყოფა თვით პროტოპლაზმაც. თითო ამებათაგანი, როცა ასაკში მოვლენ, ახლა აღნიშნული წესით ორად გაიყოფება. ასე სწარმოვს ამებათა გამრავლება.



სურ. 3. ამების გამრავლება გაყოფით. აქ ჩვენ ვხედავთ ცრუ თევზებ წამოწვდილ ამებას, შიგ მოსჩანს ბირთვი (a) და ვაკუოლა (b). მეორე სურათზე ბირთვი დაგრძელებულია და გვერდებიდან შეზნექილი, მესამეზე ბირთვი უკვე ორათ გაყოფილია, მეოთხეზე პროტოპლაზმაც შეზნექილია, მეექვსეზე ვხედავთ ორ ამებას თავთავის ბირთვით და ვაკუოლით.

ამება უფრო ხშირათ დაგუბებულ წყალში ცხოვრობს და საზოგადოთ უწყინარ, უვნებელ არსებათ ითვლება, მაგრამ ზოგიერთ მათგანს. ექიმების დაკვირვებით, ძლიერ ცუდი თვისება აქვს, არის ერთი გვარის ამება, რომელიც თუ ადამიანს სასმელ წყალში ჩაჰყვა ნაწლავების ანთებას გაუჩენს და სისხლით ფაღარათობას აუტეხს ხოლმე.

ამების მონათესავე არსებათ ეკუთვნის ციებ-ცხელების



სურ. 4. სისხლის წითელი ბურთული (B), შიგ მოთავსებულია ციებ-ცხელების მიკროოგანიზმი (A), რომელიც სურათზე მოხაზს უფრო ბნელათ.

(მალარიის) მიკრობი—ის ერთ-ჯერდოვანი ცხოველი ორგანიზმი, რომელიც ადამიანს ციებით ავად ხდის. ეს მუქთა-ხორა—მიკრობი უმეტეს ხანს თავის ზრდა-განვითარებისა ერთი გვარის კოლოს სხეულში გამოივლის. და თუ ამ კოლომ

ადამიანს ჯკბინა, ის ციებით ავად გახდება. კოლოებს ჭაობიან ადგილებში უყარო ცხოვრება, ციებ-ცხელებაც ამ ადგილ-მიდამოებშია გავრცელებული. აპიტომ ბევრი ამ სენს ჭაობის ციებას ეძახის. ჩვენში ციებ-ცხელება ძლიერ მძინვარებს შავი-ზღვის პირად გურია-სამეგრელოში. წინეთ არ იცოდნენ ამ სენის მიზეზი, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლაც ძნელი და მოუხერხებელი იყო. ეხლა-კი ყველა განათლებულ ქვეყნებში დაარსებულია განსაკუთრებული საზოგადოებრივი, რომელთაც მიზანს შეადგენს ციებ-ცხელების და მისი გამავრცელებელი კოლოების საწინააღმდეგო ზომების მიღება.

საუკეთესო საშუალებაა ჭაობიან ადგილების გაშრობა-გასუფთავება და კოლოების დახოცვა.

ამების მონათესავე კიდევ ერთი თვალი უჩინარი ცხოველი, რომელიც მუსრს ადენს აბრეშუმის ჭიას. უჩენს მას საშიშარ მოარულ სენს. ამ სენს ჰქვია **პებრინა**. თუ ამ მუქთა-ხორა მიკრობმა აბრეშუმის ჭიაში იმრავლა, მაშინ ჭია დაფუფმლებამდის დაიხოცება. ზოგიერთა ჭია ამ სენს მოიხდის და ფუჭულათ გარდაიქცევა, მაგრამ მისგან გამოსული პეპელა სათესლეთ გამოუსადეგია, რადგან ის თავის ტანში უკვე ატარებს ამ მუქთა-ხორა მიკრობის იოტის ტონა თესლს, ასე რომ ამ პეპელის მიერ დაყრილი კვერცხები (თესლი) დაზიანე-

ბული და გაფუჭებულია. რასაკვირველია ამგვარი თესლიდან ავადმყოფი და უვარგისი მური (ჭია) გამოვა; ერთი ავადმყოფი მური შემდგომ იმ სენს სხვას გადაადებს. ავადმყოფობას ავრცელებს ჭიის განავალი, ამიტომ ჭიის საფენის სისუფთავეს და ავადმყოფი მურის განცალკავებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს. აქედამ ცხადია რომ ვინც აბრეშუმის მოშენებას მისდევს ის პირველ ყოვლისა უნდა ცდილობდეს სალი თესლი შეიძინოს. იმ ქვეყნებში, სადაც ეს დარგი მეურნეობისა მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული, სათესლე პეპელებს ცალკე კოკორზე მოათავსებენ, ორ-ორს თითოზედ. როცა კვერცხებს დასდებენ, პეპეებს დახოცვენ, დასრესენ. მათ სხეულს ფხვნილათ აქცევენ და ამ ფხვნილში მიკროსკოპით მოსძებნიან პებრინის მიკრობს; თუ მიკრობები არ აღმოჩნდა, მაშინ პეპელა სალი ყოფილა და მისი კვერცხიც სათესლეთ კარგი გამოდგება.


შუაგულ აფრიკაში მძვინვარებს ერთნაირი საშიში სენი, რომელსაც სახელათ მძინარეობის სენი ჰქვია. ეს სენი გავრცელებულია ადგილობრივ მკვიდრ ზანგთა შორის. სხვათა შორის მისი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მით ავადმყოფს ადამიანს მუდამ სთვლემს, მუდამ ძილათ არის მიგდებული.

როგორც მსწავლულებმა გამოიკვლიეს ამ სენის მიზეზი ყოფილა ამების მონათესავე ერთ უჯრედოვანი მიკრობი, რომელსაც სახელად „ტრიპანოზომა“ ჰქვია. ეს მუქთა-ხორა მქნილება თითისტარივით მოგრძო ტანისაა და ერთ-ერთ ბიოლოზედ წვრილი წვერი აბია. ამ სენს, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში გამოიკვლიეს, ავრცელებს, ერთ ავადსყოფიდან მეორეზე გარდააქვს ერთგვარ მწერს, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „ტცე ტცე“-ს უწოდებენ. თურმე ტრიპანოზომამ ციებ-ცხელების მიკრობივით თავის განსავითარებლათ რამოდენიმე ხანა ამ მწერის ტანში უნდა გაატაროს.

ამების და სხვა მის მონათესავე ერთ-უჯრედოვან მქნილებათა მზგავს სხეულებს ჩვენ ვხედავთ უმაღლესს უფრო განვითარებულ ცხოველთა სხეულში და რასაკვირველია ადამიანის სხეულშიაც.


კიბოს სისხლს რომ მიკროსკოპით კარგათ დავაცქერდეთ.

შევიტყობთ, რომ ის ყოფილა უფერული რამ სითხე, რომელშიაც დაცურავს და დატივტივებს მრავალი პაწაწკინა სხეულები, ამ სხეულთა სისხლის თეთრ ბურთულებს ანუ ლეიკოციტებს უწოდებენ. თვითეული ლეიკოციტი წარმოადგენს პროტოპლაზმის ნაკუწს, რომელიც პირველ შეხედვით ამებას მოგავიწყებს. როცა მას ყურადღებით დაუკვირდებით კიდევ უფრო მეტს მზგავსებას დავინახავთ. სისხლის თეთრი ბურთული ამებასავით ხან გამოსწევს ხოლმე თავის ცრუფეხებს და ხან მოიმოკლებს. ამ გვარათ ის თანდათან იცვლის გარეგან ფორ-



სურ. 5. თეთრი ბურთული (ა), რომელიც ამებასავით მრავალ ნაირად იცვლის თავის სახეს.

მას და ალაგსაც. ამ ბურთულის პლაზმაში ბირთვისაც ვნახავთ. როგორც ამებას ისე ლეიკოციტს შეუძლიან წვრილმანი სხეულების დაჭერა და ჩანთქა. ლეიკოციტი ამებისებრ პირდაპირი დაყოფით მრავლდება.



სურ. 6. ადამიანის სისხლი.

- ა—წითელი ბურთულები;
- ბ—წითელი ბურთულები, როცა გვერდიდან დავსცქერით.
- გ—წითელი ბურთულები, უზალთუნებსავით ზედიზედ ჩაწყობილნი.
- დ—თეთრი ბურთულები.

დააცქერდით კარგათ მიკროსკოპით ადამიანის სისხლს. აქაც დაინახავთ ლეიკოციტებს, მაგრამ ამათთან ჩვენ მკაფიოთ შევამჩნევთ მეორე გვარ პატარა სხეულებს, ეს სისხლის წითელა ბურთულებია, როცა მას ცალკე დავსცქერით, მოყვითანო ფერი აქვს, როცა მათ ბევრს ვხედავთ ერთად, მაშინ მოაღისფრო. წითელი ბურთული წარმოგვიდგენს პაწაწა უზალთუნისებო მრგვალ ერთ-უჯრედიან სხეულს, რომელიც ერთგვარი ნივთიერებით წითლათ შეღებილია, ამ ნივთიერებას ჰქვია ღემოგლობინი. წითელ ბურთულთა რიცხვი თეთრზედ ბევრათ მეტია. ერთ თეთრ ბურთულზე 400—500 წითელი ბურთული მოდის. წითელი ბურთული თეთრზე ზომითაც ნაკლებია და არც ამასავით მოძრაობის უნარი აქვს, ერთ კუბიკურ მილიმეტრ სისხლში 5 მილიონი წითელი ბურთული მოთავსდება ანუ სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, ერთი ღიუმის სიგრძეზე სამი ათასი წითელი ბურთულის ჩაწყობა შეიძლება. ორთავე გვარის ბურთულები დატივტივებენ სისხლის სითხეში, სისხლის პლაზმაში, ხოლო ყველა ესენი წარმოგვიდგენენ სისხლის უმთავრეს შემადგენელ ნაწილებს და მოთავსებული არიან და მიმდინარეობენ ცალკე ქურჭლებში—სისხლის მილებში.

საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნოთ სისხლის ერთგვარი თვისება, მე ვამბობ სისხლის ზედღებაზედ.

ახალი გაღებული სისხლი რომ რაიმე ქურჭელში მოვათავსოთ ადრე დაიკვეთება მომაგრო ნაქერივით და დაილეკება ქურჭლის ძირზე. რამდენიმე ხნის შემდგომ ამ ნაქერს სისხლისას თავზედ მოადგება მოყვითანო გამჭვირვალე რამ სითხე, რომელსაც სახელათ სისხლის შრავი ჰქვია. ამაზედ ჩვენ ქვემოთ მოვილაპარაკებთ, აქ შეენიშნავ მხოლოდ რომ სისხლის წითელი ბურთული ჩვენ შეგვიძლიან შევადაროთ ისეთ ამებას, რომელსაც თავისი ცრუფეხები შემოუკუმავს და ღემოგლობინით გაფერადებულია.

უმალღეს ცხოველთა და აგრეთვე ადამიანის სტომაქ-ნაწლავებს შიგნიდან, როგორც ვიცით, აფარია ნორჩი ხავერდით რბილი კანი, ასრედ წოდებული ლორწოიანი გარსი; ამ გარსის პაწაწინა ნაგლეჯი. რომ ნემსით დავწიწკნათ და შემდ-

გომ მიკროსკოპით გავშინჯოთ ვნახავთ, რომ იგი შედგენილი ყოფილა მრავალ-ურეცხვი მწყობრისად დალაგებული უჯრედებისაგან. თვითეული ეს უჯრედი მოგრძოა, ამაში მოთავსებულია პროტოპლაზმა თავისი ბირთვით. ამ გვარი უჯრედი ჩვენ შეგვიძლიან შევადაროთ მოგრძო ცრუფეხებ მოკვეცილ ამებას. ერთი სიტყვით ჩვენ სხეულში ყველგან ვნახულობთ მრავალნაირ პაწინა, მიკროსკოპიულ უჯრედებს, რომელნიც თავისი ფორმით და მორთულობით ცოტათ თუ ბევრათ მოგაგონებენ ამებას და სხვა მის მონათესავე ერთ-უჯრედიან არსებათა. აქედან ჩვენ შეგვიძლიან უმაღლესი ცხოველები და რასაკვირველია ადამიანიც გავიცნოთ ვითარცა მრავალ უჯრედოვანი არსებანი ანუ სხვანაირათ ვსთქვათ ისინი წარმოგვიდგენენ, ერთ-უჯრედიან ამების მგზავს ცხოველთა შეერთებულ გროვას, კოლონიას, მხოლოდ უნდა განვმარტოთ, რომ ამ კოლონიას ერთი უჯრა გამოვაცალოთ და გამოვაცალკევოთ, ეს უჯრა ამებასავით თავისუფლათ ცხოვრებას ედღარ შეიძლება; ეს იმით აიხსნება, რომ უჯრებთა გროვაში ურთიერთშორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ერთის ბედ-იღბალი მეორეზედ არის დამოკიდებული. ამის მიხედვით უჯრედთა შორის შრომაც წესიერად არის განაწილებული, ამა თუ იმ უჯრედებთა გროვას თავისი საკუთარი განსაზღვრული ფიზიოლოგიური დანიშნულება აქვს და ყველანი ერთად გარდაკვეთილ მთელი სხეულის, მთელი ორგანიზმის სასარგებლო შრომას ეწევიან. ამიტომ არც-კი უნდა გაგვიკვირდეს თუ მაღალ განვითარებულ ორგანიზმში ჩვენ სხვა და სხვა სახის და სხვა და სხვა დანიშნულების მქონე უჯრედებს ვხედავთ. როცა ერთგვარი სახის უჯრედები ერთად არიან შეერთებულნი მაშინ მათ ქსოვილებს ეძახიან.

ამნაირათ განიჩევიან ძვლების, კუნთების, ნერვების და სხვაგვარი ქსოვილები. ქსოვილებიც თავის მხრივ შეერთდებიან უფრო რთულ ერთეულთა მოსაწყობათ და ასაშენებლათ რომელთაც სახელათ ორგანოებს უწოდებენ, მაშასადამე ყოველივე ორგანო ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ როგორც რამდენიმე ქსოვილთა შეერთებულებას; თვითეულ ორგანოს რაიმე განსაზღვრული დანიშნულება აქვს. ჩვენ ვიცით მაგალითად

ორგანო მხედველობისა, სმენისა, სასუნთქავი, საკმელის მო-
სანელებელი და სხვა. ამ გვარათ ჩვენ გავეცანით უმარტივეს
ერთ-უჯროვან ცხოველთა სხეულას მოყვანილობას, გავი-
თვალისწინეთ, თუ რა დამოკიდებულება და კავშირი არსე
ბობს ამ ერთ-უჯრედოვან, თვალთუჩინარ მქნილებათა და
მრავალუჯროვან უმაღლეს, უფრო განვითარებულ ცხოველ
არსებათა შორის

ი. თიკანაძე.



მტკვრის სათავე, ჭოროხი და თაგარ მეფე

მგზავრის დღიურიდან.

(შემდეგი)



ე მომაგონდა, რომ ამისთანა ქაობიან ლელე-ებში ბუზი-წუწნას უყვარს აღმოცენება, მოლლა გავიძლოლე და ძებნა დაუწყე შესა-ნიშნავ მცენარეს, რომელიც ხორციელით იკვებება, მწერებს იჭერს. ჩემს მაგალითს სხვე-ბიც მოჰყვენ—თუმცა მგონი კი უფრო იმიტომ, რომ ახლა ქალებისთვის დაეთმოთ „მარჯანი“ და „მარგალი-ტი“. ერთს კორდზე აველით და კლდიან ბაქანზე ჩამოვსხე-დით დასასვენებლათ, ამითი ისარგებლეს ქურთის ქალებმა და ქალი და რძალი წყაროებს დაეხვია. თავისებურათ შეულო-ცეს, თუ ილოცეს არ ვიცი, მეჩე კი კენჭები ამოკრიფეს ორთავე წყაროდან და შინ მიჰქონდათ...

— დანიელ ხახამო! შენ ერთი თუ ხატრი გაქვს, გამიგე რას ცელქობდენ, რას ეშმაკობდენ ეგ ქალები?

— ეგენი, ბატონო, ჯადოქრები არიან, ვინ იცის რო-მელ ქაჯებს მსახურებენ...

— არიქა, დანიელ, გამისწრეს! შენ ხო შელაზლანდ-რებული ხარ, რისა გერიდება...

დანიელა გზაში გადაუდგა შინ მიმავალ ქალებს...

— აი უყურეთ, ბატონებო, კენჭებს. ასე მოგახსენეს „მარჯნის“ კენჭებს თავისაბან წყალში ეხმარობთ ვისაც უნდა მარჯანივით წითელი ლოყებიო. „მარგალიტის“ კენ-ჭებს კი ხმარობენ როცა უნდათ, რომ სახე მკრთალათ, სა-და ფივით უპრიალეზდესო...

კენჭები გავსინჯეთ, მართლაც და ზოგი წითელი იყო, ზოგიც თეთრათ პრიალებდა.

— ბატონო დანიელ, თუ მოსე და მის დაბადება გწამს, აბა მაგ ჩვენ მასპინძელს ედიგარ ალას ჰკითხე, დაბრძენებული კაცია და გაგონილი ექნება, რათ ეძახიან ამ წყაროებს მარჯანს და მარგალიტს? მიჰმართა ჩვენმა ლექტორმა.

— დღევრძელი ხარ, კნიაზ! მე თითონ მინდოდა თქვენთვის შეკითხა, —ამათ ე რა შავი ქვა იციან...

— არა, ხახამო, საყურადღებოა, მაინც რა გენადვლება, ჰკითხე...

—...მოლლაც და მასპინძელიც ასე მოგახსენებენ, კნიაზ; უწინ როცა სიმართლე და პირის წყალი ყოფილა, მარჯნის წყაროს მარჯნის კენჭები ამოჰქონდა და მარგალიტისას — მარგალიტი. ახლა კი ცოდვისა გვეკითხაო... ჰო და, რჯულის მაღლმა, იქნება მართლაც ამოჰქონდა, კნიაზ!?

— არა, ჩემო დანიელ, მარჯანსა და მარგალიტს აქ რა უნდათ, **მარჯანიც და მარგალიტიც ზღვის ცხოველები** არიან, თქვენ კი კენჯებათ მიგაჩნიათ, აი მაგალითად, **ნამდვილი წითელი მარჯანი**, ჩვენი ქალები რო ძვირფას სამკაულათ ხმარობენ, სცხოვრობს ხმელთა-შუა ზღვაში, აგრეთვე ადრიატის ზღვაშიაც... **მარჯანი** ეკუთვნის **რვა სხივოსან პოლიპებს**, octactinia.

— არა, კნიაზ! აბა რას ბრძანებ, რჯულის მაღლმა მე თითონ მივაქრია, —მარჯანი, ფირუზი, ლალი, ზურმუხტი, თვალი, მარგალიტი, ქარვა, იაგუნდი—ყველა ძვირფასი ქვებია და სხვა არაფერი!..

— ნება მიბოძეთ, ერთი კითხვა მივცე დანიელას, — ვსთხოვე მე ლექტორს, —დანიელ! ჯერ ერთი შენი შეცდომა, რო **ქარვა ფისია** და არა ქვა. მეორეც ესა, ე შენ რო ძრიელ თევი მოგაქვს—„ძვირფას ქვებს ვიცნობო“, აბა მაშ დამისახელე დედელ მთავრის ჰარონის შესამოსელზე რა და რა ძვირფასი თვალნი ისხდენ? ხახამი ხარ და რჯულის წიგნი იცი ხომ?

— სახელდობრ რა მოგახსენო, და ვიცი კი მხოლოდ, **ათორმეტნი თვალნი** ესხნეს, იყვენ ნაკვერცხლის ფერნი და ცეცხლებრლე ავდენ...

— მაშ კარგი, ხახამო, მე ჩამოგითვლი და შენ დაიხსო-
მე: ამეთვისტო¹⁾, ანთრაქი²⁾, აკატი³⁾, ბირვილი⁴⁾, იასპი⁵⁾,
ლიგვირი⁶⁾, ოქროსქვა⁷⁾, ტაპიზი⁸⁾, სამარაგდი⁹⁾, საფირო-
ნი¹⁰⁾, სარდიონი¹¹⁾ და ფრცხილი¹²⁾...

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ბატონო! ჩვენ თუ ვიცით
ებრაილურათ ვივით ეგ სახელები ე და ბატონო.... ეგრე კარ-
გათ საიდან შეის წავლეს!..

— დაბადებიდან. ეგ კი არა, დანიელ, ჩვენ აი ვსთხოვოთ
თავადს, ბუნების მეტყველებიდან გვიამბოს მარჯნის და მარ-
გალიტის ცხოვრება, ხოლო ამ წყაროებს რად ჰქვანთ
მარჯანი და მარგალიტი მაგას მერე მე მოგახსენებთ, ჩემი ვა-
ლი იყოს, ხალხში თქმულეებაა დარჩენილი, მშვენიერი ლე-
გენდა მაქვს ჩაწერილი.

ამ დროს მასპინძელმა ბოდიში მოითხოვა, შინ წასვლა
დააპირა, ჩვენც ჯერ ვსთხოვეთ (ზრდილობისთვის) და მერე
კი მადლობით გავისტუმრეთ.

— მაშ გთხოვთ, ბატონო ლექტორო...

— მე დიდი თხოვნა არ მჭირია, ჩემის აზრით უფრო
შესაფერი და საყურადღებო იქმნებოდა ჯერ ლეგენდა გეამბ-
ნათ... მაშ მოგახსენებთ მარჯნის ამბავს... განსაკუთრებით
წითელი მარჯანი ცხოვრობს ადრიატის და ხმელთა-შუა ზღვა-
ში, თვითვეული პოლიპი მარჯანი სათითის ტოლად, ცალკე
ბუდეში ზის; ბუდე სამკეცია და აშენებულია მარჯანისავე
გამონაჯონ ლორწოიდან კირის მარცვლებით. ახალგაზრდა
მარჯანი ჯერ იმას ცდილობს თავისი კირიან ლორწოიანი

1) ამეთვისტო, Аметиств მოიხსროა.

2) ანთრაქი, Антраксь, Антраксь.

3) აკატი, აკატი, Агатъ.

4) ბირვილი, Бериль, Аквамофинъ.

5) იასპი, Яшма, ეს თვალი მაწითალდა და ჭრელი.

6) ლიგვირი, Лигвири—Яхонтъ сини.

7) ოქროსქვა, Хризолитъ, ყვითელი იაგუნდი.

8) ტაპიზი, Топазъ.

9) სამარაგდი, Самарагдъ—მწვანეა.

10) საფირონი, Сапфиръ ცისფერი.

11) სარდიონი, Сердоликъ წითელი.

12) ფრცხილი, Ониксь, მოწითალოა.

პაწია ფეხი სადმე ზღვის ქვას ანუ კლდეს ტინს მოჰკიდოს, დამკვიდრდეს, მერე კი ფეხს რო მოიმადრებს არხეინათ იწყებს, ცხოვრებას: იკვებება, იზრდება, მრავლდება, ბერდება და კვდება.

„მარჯანს აქვს პირი და საყლაპავი მილი. მისს საქმელს პაწაწა ცხოველები შეადგენენ—ზღვის ტალღა თვით უზიდავს, მოაქვს. მარჯანი კი ამ დროს პაწაწინა ციმციმა სხივებს აცაცუნებს და რაც კი რამ თავის საკბილო ხედება პირისკენ გზავნის—აქვს საქმლის მოსანელგებელი მილიც. საქმელ-საკვებით მთელს ტანს თავით ფეხებამდე ეღენტავს და თუ რამე ვერ მოიწეოდა, პირიდანვე უკან ისვრის, უკუ-აგდებს. მარჯნებშიაც არის დედალ-მამალი. მხოლოდ გრძნობის ორგანოს კი ზოგი ერთა მოკლებულია. ბლარტობის დროს მშვენიერი სანახავია მარჯნის კუნწული. ბლარტები იშვიათათ შორლებიან დედას, დედა ბოძს და იქვე იმავე მთავირ ღერძზედ ერთი ერთმანერთზედ ეწებებიან.

„ამ გვარათ წლითი-წლობით მარჯნის კუნწულია მატულობს, ახალშენი მრავლდება, იზრდება, ბუჩქათ ხდება, საამოთ ჰკვავის. თაობა—თაობას ჰქმნის და სცვლის, ძველი თაობა რო კვდება ჯერ **რქასავით** მაგრდება, მერე კი სულ ქვავდება ახალგაზრდობა კი მილიონობით ამრავლებს მარჯნის ბუჩქებს, კუნწულა ტოტებს.

— მოითმინე, კნიაზ, და თუ ეგ ყველა მართალია, განა არ შეიძლებოდა: უწინ უთუოთ რამდენიმე დედალ-მამალი მარჯანი ზოიყვანეს და აქ წყაროში ჩასხეს მოსაშენებლათ, ამიტომაც დარქმევია „მარჯნის წყარო“.

— მართალი ხარ, ჩვენო ჯავახელო...თუმცა თქვენს მეფეებს უყვარდათ თევზთა მოშენება, მაგალითათ ამ ტბა-მდინარიდან იმ ტბა-მდინარეში ჩასხადენ და სხვა, მაგრამ, საქმე ის არის, რომ **მარჯანს მტკნარ წყალში ცხოვრება არ შეუძლია**.—გინდ წყარო იყოს, გინდ მდინარე, მარჯანს **უიჭვით** სჭირია ზღვის მარილიანი წყალი. მაგალითათ, როცა სწავლული ვინმე მეცნიერი ანუ პროფესორი შეუდგება ამ პაწაწა ცხოველთა ცხოვრება-ვითარების შესწავლას, ზღვის წყალით სავსე აკვარიუმში (შუშის გეჯა) ინახვენ მარჯნებს და ისე თვალს ადევნებენ, იკვლევენ...


— მაშ ნეტავ გამაგებინა, კნიაჲ, როგორ შოულობენ მარჯანს, რა ფასშია ადგილობრივ? — შეეკითხა ხახამი.

— შენ, დანიელ ხახამო, დამაცა ჯერ მარჯანთა კუნძულებზე ვიბასოთ. მარჯანს დიდს სიღრმეში ცხოვრება არ შეუძლიან და უფრო ეტანება მყუდრო ადგილებს, ზღვის კიდეს დიდ მანძილზე არა შორდება, გადის დრო ათასი და ათი ათასი საუკუნონი მარჯანთა ახალშენი, კალონია მილიონობით და მილიარდობით მრავლდება: მთავარ ბუჩქს რაც ტოტებიდან აყვავებული ბლარტები მოშორებია, ჩამოცვინულან, ამათაც უშენებიათ იქვე მოშორებით სხვა ბუჩქები — ქვედა სართული კვდებოდა, ქვავდებოდა, იკირებოდა, ზედა სართული კი ხარობდა, ჰყვოდა, მრავლდებოდა. მილიონი თაობა გამოცვლილა და ბოლოს ზღვა-ოკეანეში შექმნილა უშველგებელი ხმელეთი, მარჯანთაგან დულაბივით ნაშენი ტინი, კლდე, რიფები, მარჯანთა კუნძულები. კუნძულთა აშენებაში რა თქმა უნდა თვით ზღვა-საც წილი უძევს, ტალღებთა ძალა ამტვრევდა, ამსხვრევდა მარჯანთა ტოტებს — ჩხრიმალი ჩხრიმალს ეწებებოდა, ზღვის მიერ მოზიდული ლამი, სილა, ქვიშა, ტინი და კენჭი ამათ ემატებოდა, საუკუნეთა განმავლობაში ამ გვარად ქალაქის ოდენა კუნძულები აშენებულა.

„მართლაც და ვიდრე მეზღვაურნი გამოიკვლევდნენ თუ სად რა მარჯანის კლდეებია ზღვა-ოკეანეში ჩამალული, მინამდე ბევრი გემი და ხომალდი იღუპებოდა, მაგრამ სულ სხვა საამო სურათს ვხედავთ, როდესაც მარჯანთა ნაშენი სართულები ზღვიდან ამოჰყოფენ თავს. ზღვის წყალი თუ არა აქვს მარჯანს ცხოვრება აღარ შეუძლია და რალა თქმა უნდა სულ ზემო სართული მხოლოდ-ღა გაქვავებულ კირის ტინს, ხმელეთს, წარმოადგენს. ზოგჯერაც ამ ადგილას ზღვაც დაიწევს ხოლმე.

„ვაეხარდათ ფრინველებს რომ ზღვაში ხმელეთი გაჩნდა, მოფრინდნენ, დასხდნენ, დაისვენეს, იმუხაიფეს, ისაუზმეს; ზოგი ხილს შეექცა, ზოგი თევზს ანუ ლოკოკინას, იამათ, მზეზე გული მოითბეს, იგალობეს, იქიკჭიკეს. ფრინველთა მაგალითს ზოგიერთა ზღვის ცხოველებმაც მიჰბადეს, დღეს-ხვალ, წლითი - წლობამდე ფრინველთა ნასუფრალიდან,

მათ სკინტლიდან, ზღვის ტალღისაგან მოტანილს ლამიდან შეიქმნა, გაჩნდა მიწა, უშველეებელ კუნძულზე, ბალახის და



ნარის თესლი ქარს გადმოჰქონდა, სთესავდა, ფრინველთა ნა-სუფრალიდანაც ბევრნაირი ხილის კურკაც ჩაითესა, ზოგჯერ ზღვის ტალღებიც სასუქივით მოჰფენდნენ ხოლმე მეკდარ თევ-ზების მძორს, მცენარეთა თაობაც თაობას სცვლიდა, ყოვე-ლივე ეს ასუქებდა კირიან ნიადაგს, გაიარა 15—30 წელი-წადმა და კუნძული საამოდ ამწვანდა, კიდევ ოციოდე წელი-წადიც და თქვენს თვალ წინ წარმოსდგა ქალაქის ოდენა კუნ-ძული სავსე ბუჩქ-ნარით, ხილ-ნარით და ბალახ-შამხნარით. ახლა კი ფრინველებმაც ჩადგეს საძირკველი, აიშენეს ბუდე, გაჩაღდა სიცოცხლე, მხიარული გალობა და ჭივ-ჭივი, თანაც მხეცური ინსტიქტი—კუქისთვის ბრძოლა, ძალ-მომრეობა და სხვ

შემდეგი იქნება)

ილ. ალხაზიშვილი.

თქი ამბა

(ისტორიული მოთხრობა ორტმანისა)

(რუსულით)



I.

ატარა სოფელში, რომელსაც სახელათ მიტტეროლანგი ერქვა, და რომელიც ტიროლის მთებთა შორის მდებარეობს, სოფლის დღეობა იყო. ყველა ქოხი, რაც უნდა პატარა და ღარიბი ყოფილიყო, მართული იყო ყვავილებით და ქრელი ფრიალა ბაი-რალეებით. ახლო-მახლო ადგილებიდან დილიდანვე მოისმოდა თოფე-

ბის სროლა, მას ბანს აძლევდა გარეშემორტყმული ბუნება. დიდებულათ მოისმოდა მაღალ მთიდან პატარა ეკლესიის ზარის რეკა. მხიარულათ გამოიყურებოდნენ მწვანე ფოთლებთა შორის პატარა სუფთა, თეთრი სახლები; ყველგან სუფევდა დღესასწაულებრივი სიხარული. მართლაც-და, ეს იყო დიდებული დღე მიტტეროლანგის მცხოვრებლებთან; მსროლელი ჯარი სოფელს განშორებულნი დიდი ხნის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. ისინი პატიოსნათ ასრულებდნენ დიდ მოვალეობას, ემსახურებოდნენ სამშობლოს განთავისუფლებას, რომელიც ნაპოლეონ I-მა დაიპყრო. მათ დიხატა დაიმსახურეს, რომ შეხვედროდნენ თოფების სროლით, ზარის რეკით, აფრიალებული ბაირალებით და ყვავილებით. რამდენიმე დღის წინედ, ისინი გმირულათ ებრძოდნენ იზელის მთასთან ბავარიელებს. გვერდში უდგენ ანდრია გოფერს, როცა ის მესამედ შედიოდა ტიროლის სატახტო ქალაქს ინსბრუკში. ეხლა ესენი გამარჯვებულნი და სამშობლოს გამანთავისუფლებელნი უკან ბრუნდებოდნენ. არც ერთი ცვა-რი ცრემლი არ არღვევდა ამ საერთო სიხარულს, იმიტომ

რომ არც ერთი მიტეროლანგის მცხოვრები არ მომკვდარა ბრძოლის ველზე. ყველა ცოცხალი დაბრუნდა, თუმცა ზოგი მძიმედ იყო დაჭრილი. ქსავერ ზიგმარსაც, მათ უფროსს, მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა, მაგრამ კრილობა არაფრათ მიაჩნდა. არავინ არ აბიჯებდა ისე მარჯვეთ და მტკიცეთ, არავის თვალები არ უბრწყინავდენ სიმარჯვით და მხნეობით, როგორც მას. ქსავერი სოფელში ყველაზე ტანადი ყმაწვილი იყო და ბევრს ახალგაზრდა ქალს გული ტოკვას დაუწყობდა, როცა მოხუცი გიორგი, მამა ამ უმცროსი შვილისი ეხუმრებოდა ხოლმე მათ. ეხლა ომის შემდეგ ეს ყმაწვილი თითქოს უფრო ტანადი და მარჯვე გახდა.

ყველანი ერთმანეთს მოუთხოვრებდნენ ქსავერის გმირობის ამბებს. იგი არა თუ ბრძოლის ველზე ყველაზე წინ დგებოდა და ხმაღ ამოღებული, გაბრწყინებული სახით ყველა ჯარისკაცებს ამხნევებდა, არამედ ის ანდრია გოფერს მხარში უდგა და როგორც თანაშემწე-უფროსის ბრძანებას გადასცემდა ხოლმე ჯარის კაცებს, ყოველ მძიმე მოვალეობის ასრულებას კისრულობდა ხოლმე. არავის შურდა მისი მედიდური შეხედულობა, რიხიანი ყოფა-ქცევა, პირ-იქით ყველას უხაროდა, რომ ამისთანა კაცმა, რომელმაც სამშობლოს ასეთი სამსახური გაუწია, მათ შორის დაიბადა და აღიზარდა, — ყველა ულოცავდა შვილის დაბრუნებას ბედნიერ მამას, რომელიც გაბრწყინებული სახით ეგებებოდა თავის გმირ შვილს.

ქსავერის უფროსი ძმა პეტრე არ გამოსულა ძმის დასახვედრათ. სახლში ელოდა. მას არ უნდოდა დღეს ხალხს ჩვენებოდა, ის იყო ერთად-ერთი ახალგაზრდა, რომელიც ამ საერთო მხიარულობაში არ იღებდა მონაწილეობას, ეს ყმაწვილი ბეცი იყო, მსროლელათ არ გამოდგებოდა და არც მის სუსტ გულს შეეძლო სამხედრო ცხოვრების ატანა; მართალია იგი წაღალი ტანისა იყო, მაგრამ მხარ-ბეჭი ისეთი ძაღვადანი და განიერი არ ჰქონდა, როგორც ქსავერს, და ცოტა წელში მოხრილიც დადიოდა. წითელი თმა, გამხდარი პირისახე აუშნოებდა ამ ყმაწვილს, რომელსაც ერქვა პეტრე, მაგრამ სამაგიეროდ მას სახეს კეთილი გამომეტყველება ჰქონდა, თვალები მწუხარე და მოწყენილი. თვალების წამწამზე ცრემ-

ლები ციმციმებდნენ, როდესაც მან თავის ძმას ორივე ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობა, ქსავერო! მან მეტი არა უთხრა რა.

მაგრამ ამაში გულწრფელი სიყვარული და ჩუმი მწუხარება გამოიხატებოდა.

— როგორ ვწუხვარ, პეტრე, რომ შენ არ შეგიძლია ჩვენთან ერთად გმირობა გამოიჩინო, მაგრამ რას გააწყობ, შენ ჯერ ძალიან სუსტი ხარ, ომისთვის არ გამოდგები.

საწყალ პეტრეს გაუხარდა, რომ ძმა ამგვარათ დაელაპარაკა და საჩქაროთ ოთახიდან გაჰქრა.

II.

იმ დღეს აუარებელი ხალხი შეიკრიბა გიორგი ზიგმარის ყავახანაში: დიდი სიმხარულე იყო მის პატარა თბილ ოთახებში. წითელი ღვინო მასპინძლის ყანწებიდან უხვად გადმოდიოდა. მოისმოდა სიმღერები, რომელშიაც სამშობლოს აღიდგებდნენ და როცა ქსავერი მოჰყვებოდა თავისი ძაღოვანი, ქაბუკი ხმით, ომის შესხმას, სტუმრების აღტაცებას სამზღვარი არ ჰქონდა; კედლებს ზანზარი გაჰქონდა ტაშის კვრისაგან. მასპინძელი ცდილობდა კარგად გამასპინძლებოდა თავის სტუმრებს და პეტრეს, რაც შეეძლო, შეელოდა მამას. მაგრამ შეხედულობა ისეთი გულგრილი ჰქონდა, თითქოს ამას სრულებითაც არ შეეხებოდა ეს სიხარული. ბოლოს ყველანი გამოვიდნენ საცეკვაოთ ახლო მდებარე მინდორზე და მწყემსმა ბაუგმარტენმა სამხიაულო საცეკვაო დაუკრა.

ქსავერი გაცხარებული ცეკვავდა და თავის დაქრილ ხელს ყურადღებას არ აქცევდა, ხან ერთ გასათხოვარ ქალს ჩასქიდებდა ხელს, ხან მეორეს, მაგრამ ყველაზე მეტად ლამაზს მიდღეს იწვევდა საცეკვაოთ. მას უფლებაც ჰქონდა, როგორც გმირს თავის ნებაზე მოქცეულიყო, ამასთანავე ლამაზი მიდელი უნდა ამ ცოტა ხანში რძლათ გამხდარიყო, პეტრეს ცოლათ. ორი თვის წინათ მოხდა მიდელისა და მისი ძმის პეტრეს ნიშნობა. ქსავერი წინათ არ აქცევდა ყურადღებას მიდელის მშვენიერ ხუჭუჭ თმას, ნახს, ვარდისფერ ლოყებს და გასაოცარ ბრწყინვალე თვალებს. მან თითქოს მხოლოდ დღეს შეამჩნია

მისი სიმშვენიერე, ალვის ხის ტანი და ვარდისფერ ტუჩებზე საამო ღიმილი.

მიდელიც თვალს არ აშორებდა ახალგაზრდა რაინდს და გატაცებით ცეკვავდა. პეტრე-კი ამ დროს კარებში იდგა და მწუხარეთ შესცქეროდა მოცეკვავეს. შემდეგ, როდესაც ვილაცა ცქრილა გოგომ გამოიწვია საცეკვაოთ, იგი ნელა გაიპარა ოთახიდან. კარგა ხანს მისი იქ არ ყოფნა. ვერაჲინ შეემჩნია. იგი გავიდა, უკანა კარებით ეზოში და იქვე მდგომ ეტლთან ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა გაუნძრევლათ, ღრმათ ჩაფიქრებული, უცებ ტანში შეაყრიალა. ქსავერის ხმა მოესმა ახლოს და პეტრემ შემდეგი გაიგონა:

— მე ვერ წარმომიდგენია, რომ შენ ჩემი ძმის საცოლო ხარ, მეტად კარგი ხარ იმ მახინჯისთვის.

— ნუ ლაპარაკობ აგრე იმაზე, — კარგი არ არის, გაიწკრიალა მიდელის ხმამ. — მართალია ის ლამაზი არ არი, მაგრამ სამაგიეროთ ძალიან კათილია.

— შესაძლებელია აგრეც იყოს. მაგრამ მე მაინც სულელი ვიყავი, რომ ძმაზე ადრე მე თითონ არ დაგნიშნე.

— საქმე გათავებულია, მაგაზე ნულარ მელაპარაკები, — საჩქაროთ წაილაპარაკა მიდელმა. — ახლა გვიანდაა. მე მივეცი პატიოსანი სიტყვა, დაუმატა ქალმა ისეთი დანაღვლიანებული ხმით, რომ პეტრეს აღარაფრის გაგონება აღარ უნდოდა. თავბრუ დაესხა და ამოიკენესა. იგი უკან ნელა-ნელა წავიდა და შეუმჩნევლათ თავის ოთახში შევიდა. დიდხანს იჯდა პეტრე თავის საწოლზე. თავი ხელზე ჰქონდა დაყრდნობილი მწუხარებით და გაშტერებული-გაიყურებოდა ფანჯარაში, საიდანაც მოსჩანდნენ საყვარელი სამშობლოს მთები, რომლის მწვერვალები ჯერ კიდევ მოფენილი იყო მზის სხივებით.

III.

მეორე დილას პეტრე ზიგმარმა მიატოვა სახლი. მთელ მის ბარგს შეადგენდა პატარა ბოლჩა, სადაც მას ჩაეწყო ტანისამოსი და საცვლები. თავის ოთახში მაგიდაზე დასტოვა წერილი, რომელშიაც ეწერა, რომ იგი სტოვებს სახლს, რადგან აწუხებს მიდელის დანიშვნა, რომ მას როგორც ავადმ-


ყოფს კაცს არ აქვს ნება შეირთოს ლამაზი მიდელი. მიდელი-კი მისი აზრით, ნამდვილათ მალე იშოვნის თავის შესაფერ საქმროს. მას არ უნდა თავისი სახლში ყოფნით შეაწუხოს მამა, და ეცდება სადმე იშოვნოს თავ-შესაფარი. ძმისა და ყველა იმის შესახებ, რაც მოხდა—არაფერი ეწერა. გიორგი ზიგმარი პატიოსანი კაცი იყო: ერთხელ მიცემულ სიტყვას იგი წმინდათ სთვლიდა, და ამისთვის საშინლათ გაბრაზდა შეილზე. მას არ ეგონა, რომ პეტრე ასეთს სახელის გატებას დაატეხდა თავს. მან აჩვენა წერილი განცვიფრებულ მედელის და გამოუცხადა ყველას, მე ისე გაჯავრებული ვარო, რომ პეტრეს სახელი ჩემ სახლში აღარავინ გამასენოსო.

მიდელი ოთახში ჩაიკეტა და მთელი დღე იქილამ არ გამოსულა; როცა გამოვიდა, თვალები ცრემლით დაღურჯებული ჰქონდა და ძალიან მოწყენილიც იყო; მაგრამ მაინც მამაცურათ ითმენდა თავის საქმროს ლალატს; გავიდა რამდენიმე ხანი, მიდელი ისევ-ისევ გამოკეთდა. მისი ხმა აღრინდელივით მხიარულათ გაისმოდა მთელს სახლში, გაღამაზდა კიდევაც. ეხლა უფრო ლამაზი გახდა, ვიდრე მაშინ, როდესაც წითელ თმიან პეტრეს საცოლოთ ათვლებოდა.

მალე სოფელში გავარდა ხმა, რომ ლამაზი მიდელი დანუგეშდა თავის წინანდელ საქმროს დაკარგვით და ცოლათ ეხლა მის ძმას მიჰყვებოა. ბევრი ახალგაზრდა ქალი შეაწუხა ამ მოულოდნელმა ამბავმა. შურდათ მიდელის ასეთი გაბედნიერება. ქსავერის ამხანაგებს კი უხაროდათ, რომ მეგობარს ამისთანა ლამაზი ქალი შეხვდა ცოლათ. როგორც უცაბედ სიზმარმა ისე გაიარა ლამაზი მიდელისათვის ბედნიერმა დღეებმა, მაგრამ თავიანთი ქვეყნის ტიროლის საშინელმა უბედურებამ მალე დაავიწყა ამას საკუთარი ბედნიერება.

ირაკლი ფერაძე.

(დასასრული შეიდეგ).




ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თბილისი ჯგერა კლასიკური).

III

მომხდარი ცვლილება.



ომა ედისონი რომ ნიუ-იორკში გაჩნდა მას ათასგვარი გაბედული აზრები და დაწყობილებები უტრიალებდა თავში.

ის სრულებით თვალზე ახვეული არ მიისწრაფებოდა წინ. იგი კარგათ გრძნობდა ყველა დაბრკოლებებს, რომელნიც მოელოდა ამ უცნობ, უზარმაზარ ქალაქში, სადაც არავინ გუნებაშია არ გაიტარებდა ყურადღება მიექცია ვილაც ყმაწვილზე. მაგრამ ედისონის ყმაწვილურ აღფრთოვანებას ემატებოდა კიდევ ქაბუკი კაცის ძაღვანი თვის-ნებობა.

დასაწყისში ბედმა თითქოს უმტყუნა. ის მოსვენებას არ აძლევდა არც ტელეგრაფის კანტორის უფროსებს და არც ვაჭარ-მეფეებს. მაგრამ ყველას უგუნურებათ მიიჩნდა ფულის დაბნევა მისი დიდებული აზრების განსახორციელებლათ. ნიუ-იორკში ამისი ჯურის კაცები ბევრი იყვნენ და ედისონი რომ მოჰყვებოდა ლაპარაკს—არ გაათავებინებდნენ, ისე იშორებდნენ თავიდან.

დღე დღეზე გადიოდა, კვირა კვირას მისდევდა, ედისონს ჯიბე უტალიერდებოდა, ფული ელეოდა. დილა ადრინათ გავიდოდა და კარგა გვიანობამდის ქუჩებში დახეტიალობდა.

იქნება ვინმე ენახა, ვისთვისაც შეეძლო გული გადეშალა და თავისი წადილი გაემჟღავნა. ამ გვარ სეირნობის დროს ის წამდაუწუმ მიადგებოდა იმ თითქოს პატარა ქუჩას უელ-სტრიტს, მაგრამ დიდ მნიშვნელოვანს ამერიკის მრეწველობა-ში. მას ამერიკელები მარტივად, უბრალოდ ეძახიან - ქუჩა“.

უმეტესი დიდი ბანკები ამ ქუჩაზეა. აქვე შეხვდებით გან-თქმულ ამერიკელ მილიონერებს. ზღაპრულ სიმდიდრეზე ნათ-ქვამი სხვა და სხვა ამბები აქ ნამდვილ უცნაურ ამბებათ იქცევა.

სწორედ ამ ქუჩაზე იმყოფებოდა იმ დროში განთქმული მისტერ ლაუს კანტორა. ამ კანტორიდან ტელეგრაფის შემწე-ობით აცნობებდნენ ყველა ბანკირებს ბაზრის ფასების აწვე-დაწევას.

ერთხელ ერთმა ქალაქის ფასმა ძალიან დაიწია. ას სამოცდა ოთხმეტი დოლლარის მაგივრად ას ხუთზე ჩამოვი-და და ამითი მთელი ნიუ-იორკის მცხოვრებლები ააღელვა. დიდ ძალი მცირე შეძლების ხალხი ამ ქალაქის ფასის დაწე-ვით დაჰკარგავდნენ თავიანთ ქონებას. ლაუს კანტორა დილი-დან გვიანამდის გარს შემორტყმული იყო აღშფოთებული ხალხით, რომელნიც სასოწარკვეთილებათ თვალს ადევნებდნენ ფულის ქალაქლების ფასების ცვლილებას. სხვა ბანკირების კანტორებიც ხალხით სავსე იყო და ყოველი მიღებული ტე-ლეგრამა იწვევდა ყვირილს, წყევლა-გინებას და მუქარას.

მაგრამ შეუბრალებლად რკინის ჩაქუჩი ჰკრავდა თავში ათი-ათასს კაცს, რომ დაედუბა იგინი.

ედისონი ახლათ მოსული მშვიდი და მყუდრო ბოსტონი-დან გაკვირვებით თვალს ადევნებდა ყველაფერს და სინანუ-ლით იგონებდა თავის გავლილ ცხოვრებას.

უცბათ მისი ყურადღება მიიქცია რაღაც უცნაურმა მო-ძრაობამ. ხალხის ბრბომ ყვირილ-კიჟინით, გაშმაგებული გაი-წია იქითკენ, სადაც ლაუს კანტორა იმყოფებოდა.

იქ ამ დროს თურმე უბედურება დატრიალებულიყო. მთავარი მანქანა, რომელიც ყველა ბანკირების კანტორებში აწოდებდა ცნობებს—გაფუჭებული იყო. ერთ წამს რომ არ მიიღეს ქალაქების შესახებ ცნობები გაათრებული ხალხი

შემოეხვია კანტორას. ყოველ წამს ამათ ყველა ბანკირების კანტორები ეკითხებოდნენ ამბებს.

მისტერ ლაუ და კანტორის მსახურნი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, შიშით არ იცოდნენ რა ექნათ, კანტორა კი ივსებოდა აღელვებული ხალხით, რომელნიც ილანძლებოდნენ და ემუქრებოდნენ კანტორის მოსამსახურეებს.

ედისონი სხვებთან ერთად შევიდა კანტორაში და ჩაიგდო თუ არა დრო, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, მიუახლოვდა მანქანას, ერთ წამს ყურადღებით დაათვალიერა და როგორც ნამდვილი ამერიკელი მიხვდა, რომ მას შეუძლიან ამითი კარგათ ისარგებლოს.

მან ერთი წამიც არ დაჰკარგა, მიუახლოვდა სასოება დაკარგულ მისტერ ლაუს და დამშვიდებული კილოთი უთხრა:

— მე შემძლიან, მისტერ ლაუ, გითხრაა რა დაემართა მაგ მანქანას. ერთ ერთი ბურღო გატეხილა, გაჩხირულა კბილებიან თვალში და უშლის მანქანას მუშაობას.

ლაუმ შეხედა ედისონს, მას ეს ქაბუკი ციდან ჩამოვარდნილათ ეჩვენა.

— შევძლიანთ მანქანა გამომიწყოთ? ჰკითხა მან, — გამიკეთეთ და ფასს არ დავიშურებ...

რასაკვირველია ედისონს შეეძლო მისი გაკეთება და რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანამ მშვენივრათ დაიწყო მუშაობა.

ლაუ ალტაცებაში მოვიდა და მაშინვე თავის ახალგაზრდა მხსნელს მისცა ტელეგრაფის ზედამხედველობა და ჯამაგირათ თვეში სამასი დოლლარი დაუნიშნა.

ამ დღიდან ედისონის ცხოვრებაში იწყობა საბედნიერო ცვლილება და ბედს მისთვის აღარ უმტყუვნია.

ლაუსთან სამსახურის დროს მან მოიგონა ახალი მანქანები ფულიან ქაღალდების ფასების გადასაცემათ ბაზარში და ეს ისეთი მარჯვე და გამოსაყენი გამოგონება გამოდგა, რომ ედისონს აღვილი დააკარგვინა. მაგრამ მას უკვე ყველა იცნობდა, როგორც მანქანების დახელოვნებულ გამოგონებელს და მან მაშინვე აღვილი იშოვა ელექტრონის საზოგადოებაში, რომელმაც დააფასა მისი გამოგონება. მას მისცეს კიდევ საშუალება მოემზადებინა ახალი ელექტრონის მანქანა ფასების სა-

ბეჭდავით და მერე ეს თავისი გამოგონილი მანქანა ედისონმა მათვე მიჰყიდა.

ედისონი ჩვეულებრივი ოხუნჯობით გვიამბობს ამ გაყიდვის საქმეს. თურმე თვითონ არ იცოდა რა ფასი დაედო თავის გამოგონებულ მანქანისთვის: არც ბევრის თხოვნა უნდოდა და არც მოტყუებული გამოსულიყო. მან თავის გულში გადასწყვიტა ხუთი ათასი დოლლარს მოესთხოვა, თან შიშობდა. ვაი თუ ამოდენა ფული არ მომცენო.

როდესაც საქმე ფასზე ჩამოვარდა, ერთ ერთი დირექტორი დაეკითხა: რას აფასებთო! ედისონმა ვერ გაბედა ეთქვა და სთხოვა დირექტორს რასაც ინებებთ ის მომეცითო.

— რას იტყვით, მისტერ ედისონ, ორმოცი ათასი დოლლარი რომ მოგცეთ?

ედისონს ისე გაუკვირდა ამ ფასის გაგონება, რომ კინაღამ სკამიდან გადმოკოტრიალდა, მაგრამ თავი შეიკავა და წამოიძახა:

— მე თანახმა გახლავართ მაგ ფასზე...

მერე მარტო რო დარჩა, მის სიხარულის სამზღვარი არა ჰქონდა. ხტოდა, ცეკვამდა და გაიძახოდა:

— ორმოცი ათასი! ორმოცი ათასი! ყოჩაღ ბიჭო!

ყმაწვილს თვალ წინ გადაეშალა მოულოდნელი სიმდიდრე: ის ლაბორატორიას გამართავს; საოცარ, გასაკვირველ მანქანებს გამოიგონებს, მის ფეხ ქვეშ გადიშლება მთელი ქვეყნიერება.

მერე უცბათ რაღაც შიშმა აიტანა. უსათუოდ დასცინიან, მასხარათ იგდებენ. იმ ეშმაკი დირექტორის ხუმრობა იქნება! მას მოაგონდა ჩვეულებრივი ათას გვარი დაცინვა მდიდრებისაგან.

მეორე დღეს გამოეცხადენ მას კანტორიდან ორი კაცი: მათ მოუტანეს ხელ მოსაწერათ ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ედისონი თავის გამოგონებას ჰყიდის „საზოგადოებაზე“ ორმოცი ათას დოლლარათ.

ედისონი დარწმუნებული იყო, რომ მას დასცინიან და ცდილობდა ყოველი ღონისძიებით ჩაეშალა საქმე, ხელი არ მოეწერა. თანაც ორმოც ათასს დოლლარის შოვნამ ისე გაიტაცა, რომ უარის თქმას ვერ ბედავდა. ბოლოს მოაწერა ქაღალდს ხელი, გამოართვა ფულის ბარათი და აღელვებული სწრაფლათ გაემუშრა ბანკში ფულის მისაღებათ.

ბანკში ფულის მიმცემმა დახედა ბარათს, დაბალის ხმით რალაცა უთხრა, ედისონს ყურთ არ ესმოდა კარგათ და ვერ გაიგო. ბოლოს ფულის ბარათი უკანვე დაუბრუნეს.

ამან ხომ ნამდვილათ დაუმტკიცა ედისონს მისი ეჭვი, რომ დასცინიან. ერთ წამს კიდევ უნდოდა ლუკმა-ლუკმათ ექცია ეს ტყუილი ფულის ბარათი, მაგრამ ბედზე გადიფიქრა და გასწია კანტორაში.

კანტორის ერთ ერთი მოსამსახურე წაჰყვა ბანკში და აღმოჩნდა, რომ ედისონისთვის მოეთხოვათ მისი პიროვნების შემოწმობა და მას ვერ გაეგო.

ბოლოს ორმოცი ათასი დოლლარი ჩაიბარა. ამ ფულით მან თავისთვის სამუშაოთ დიდი სახელოსნო გამართა, უნდოდა ყველა იარაღები, რაც კი რამ სჭირდებოდა, საკუთრივ თავისი ხელით გაეკეთებინა. სახელოსნოს მიუდგა ლაბორატორია, სადაც სხვა და სხვა გამოცდებს ახდენდა.

ფულის დახარჯვას ედისონი არ ერიდებოდა და როცა ყველაფერი რაც საჭიროთ მიაჩნდა დაამთავრა ამ ფულის ხსენება აღარ იყო. ედისონი საზოგადოთ არ რჩებოდა უფულოთ ყოველთვის ადვილათ შოულობდა. მას უკვეთავდნენ სამუშაოს სხვა და სხვა ელექტრონის საზოგადოებები და ზოგი ტელეგრაფის კომპანიები დიდ ძალ ფულს აძლევდნენ წინ და წინ, რომ გაეუმჯობესებინა ტელეგრაფის მანქანები.

მისი საქმეები ისე გაფართოვდა, რომ სახელოსნო მას აღარ იტევდა, დასჭირდა ახლის გაკეთება და ის დაბინავდა ნიუორკის პირდაპირ, მდინარე გუდსონის ნაპირას, ნიუ-არკში. მან აქ დაიჭირა ოთხ სართულიანი სახლი, სადაც მოთავსდებოდა რამდენიმე ასი მუშა.

1873 წლის ამბავს მოგითხრობთ. ეს სახელოსნო მთლათ ქარხანათ გადიქცა, საცა სამას კაცზე მეტი მუშაობდა და ედისონის სახელი ამერიკაში კიდით კიდემდე გაითქვა.


ედისონს თავისებურათ მიჰყავდა თავისი საქმეები. ქარხანა რომ გახსნა შემოსავალ-გასავლის საწესრიგოთ მოიწვია ბუჰალტერი, მაგრამ როგორც ბოლოს გამოჩნდა შემოსავალი გასავალს ვერ ეთანხმებოდა. წლის დამლევს ბუჰალტერმა წმინდა მოგებათ უჩვენა შვიდი ათას ხუთასი დოლლარი. ძნელი წარმოსადგენია როგორ გაახარა ამან ედისონი, მაგ-

რამ რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ მოგებაზე, იმდენათ უფრო ექვი ეპარებოდა; სანამ თვითონ არ დაიწყო ანგარიშების გადასინჯვა.

ამ გვარ მუშაობას შეჩვეული არ იყო და ბევრი ღამეები მოანდობა, ბევრი ციფრებისაგან თავს-ბრუ ეხვეოდა. ბოლოს სიძნელეს დასძლია და გამოჩნდა შვიდიათას ხუთასი დოლლარის მოგების მაგივრათ აღმოჩნდა ზარალი ხუთხმეტი ათასი დოლლარი.

ამ დღიდან ედისონმა შეიზიზღა ბუჭალტერია და როგორც ყმაწვილობის დროს უარჰყო მატემატიკა, ისეც ახლა აითვალისწინა ბუჭალტერია. ყვეელას გაუსწორა ანგარიშები, გამოისყიდა ყველა თამასუქები და თავის საწერ მაგიდის თავზე ჩანგალზე ჩამოჰკიდა ყველა გასწორებული საბუთები— და აი იმაში გამოიხატა მისი ბუჭალტერია.

(შემდეგი იქნება)



ედისონი მუშაობს თავის ლაბორატორიაში.